რუსი მესაზღვრეები თანამებრძოლებმა დახოცეს A3

ოპოზიციისგან დაზარალებული დღემდე ტერორშია A3

მოსკოვს ბომბების არ სჯერა A4

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 27 აგვისტო, 2002 წელი. №86

ფასი 50 თეთრი

პარლამენტმა კინაღამ ჩააგდო ღირსების დოკუმენტი

ბიორგი ასანიშვილი

"კონსენსუსი" და "წინასწარი შეთანხმება" საქართველოს პარლამენტში მეტად პირობითი ცნებებია. ხშირად მომხდარა, რომ რომელიმე სადაო საკითხზე სხვადასხვა ფრაქციებს ერთიანი პოზიცია შეუმუშავებიათ, მაგრამ უკანასკნელ მომენტში, ზოგიერთებს აზრი შეუცვლიათ, შეთანხმება ჩაშლილა და პრობლემა გადაუწყვეტელი დარჩენილა. თითქმის იგივე განმეორდა გუშინაც, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ბოლო სანახევროდ კეთილი იყო: რომ არა ორი დეპუტატის ზედმეტი ხმა, ძლივს შეკოწიწებული და პარლამენტში არსებული თითქოს ყველა პოლიტიკური ძალის მიერ წინასწარ მოწონებული დადგენილების პროექტი, რომელიც რუსეთის მიერ 23 აგვისტოს პანკისის ხეობის დაბომბვის ფაქტზე საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან რეაქციას წარმოადგენს, ჩავარდებოდა.

ასე იყო თუ ისე, გუშინ ის იშვიათი შემთხვევა მოხდა, როდესაც ოპოზიციამ თავისი გაიტანა და პარლამენტმა მისი ინიციატივით შედგენილი დოკუმენტი მიიღო. "გაერთიანებული დემოკრატებისა" და "ტრადიციონალისტების" ძალისხმევით და ორდღიანი ღია თუ კულუარული ბრძოლის შედეგად, საკანონმდებლო ორგანომ აღმასრულებელ ხელისუფლებას საკმაოდ მძიმე დავალება მისცა: საქართველოს მთავრობამ **"ცალმხრივად უნდა განსაზღვროს სამხედრო ბაზების გაყვანის ვადები და მიიღოს შესაბამისი ზომები მათ შესასრულებლად", "დაუყოვნებლივ შეუწყვიტოს მანდატი**

გაგრძელება A2 გვერდზე

პარლამენტის მუშაობას საზაფხულო შვებულების დაღი ატყვია

ლევან ხერხეულიძის ფოტო

საქართველოს დაბომბვა - კიდევ ერთი დარტყმა აშშ-რუსეთის ურთიერთობებზე

ზოთა უტიაშვილი

23 აგვისტოს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის დაბომბვის ფაქტზე შეერთებული შტატების რეაქცია, შესაძლოა, არა მხოლოდ საქართველოსადმი ვაშინგტონის მხარდაჭერაზე, არამედ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობების სერიოზულ გაუარესებაზეც მიანიშნებდეს. ცნობილი რუსი ანალიტიკოსის, პაველ ფელგენგაუერის აზრით, **"არსებობს საკითხების მთელი სპექტრი, რომელზეც ორ ქვეყანას შორის მნიშვნელოვანი უთანხმოებებია, კავკასიით დაწყებული და ყვითელი ზღვით დამთავრებული."**

"საქართველო-რუსეთის დაპირისპირებამ კიდევ უფრო გაამწვავა მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის არსებული ისედაც დაძაბული ურთიერთობები," – წერს ბრიტანული გაზეთი "ტაიმსი".

რამდენიმე დღის წინ, პრეზიდენტთან, ვიცე-პრეზიდენტთან და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანთან თათბირის შემდეგ, ამერიკის თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა რუსეთს **"ტერორისტების მეგობარი"** სახელმწიფო უწოდა.

მართალია, ფორმალურად, ორი ქვეყნის ურთიერთობებში ყველაფერი რიგზეა და რუსეთი კვლავაც აშშ-ს "ახლადშეძენილ მეგობრად" და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ რჩება, მაგრამ სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები მათ შორის არსებული განხეთქილების შესახებ.

გაგრძელება A3 გვერდზე

„რუსეთს სჭირდება საქართველო, საქართველოს კი - რუსეთი"

შევარდნაძის ახალი დევიზი

ეკა კვესიტაძე

"ჩვენი განცხადებები რუსეთის მისამართით იმ დონემდე მწვავე უნდა იყოს, რომ მარტო ლაპარაკად არ დარჩეს. უნდა მოვითხოვოთ ის, რისი გაკეთებაც შეიძლება; რისი გაკეთებაც არ შეიძლება, იმის მოთხოვნას აზრი არ აქვს," – გუშინ საგანგებო ბრიფინგზე გაკეთებული ამ განცხადებით პრეზიდენტმა პარლამენტის ჯერ არმიღებული დადგენილება უკვე მკვდრად შობილად გამოაცხადა.

სპეციალურ დადგენილებაში დეპუტატები დსთ-დან გამოსვლას, რუსეთის ბაზებისა და რუსი სამშვიდობოების გაყვანას ითხოვენ.

"ჯერ კიდევ არ არის დრო, რომ რუსი სამშვიდობოების გარეშე კონფლიქტის ზონაში სიტუაცია დავარეგულიროთ. რაც შეეხება დსთ-დან გამოსვლას, არც ეს არის გამოსავალი," – განაცხადა პრეზიდენტმა.

ასე რომ, ლოზუნგით - "რუსეთს სჭირდება საქართველო და საქართველოს სჭირდება რუსეთი" - შევარდნაძემ ოპოზიციის ყველა ინიციატივაზე უარი განაცხადა. პრეზიდენტი კატეგორიულად აპროტესტებს "იტერასთან" დაწყებული მოლაპარაკების შეჩერებასაც.

"მიუხედავად იმისა, როგორი აზრის არიან ახლად დაბადებული ორგანიზაციები, "იტერასთან" მოლაპარაკებებს ვაგრძელებთ და კვლავაც გავაგრძელებთ, რადგან ჩვენ გამოზამთრების სხვა წყარო არ გაგვაჩნია. ანგარიში უნდა გავუწიოთ "იტერას" მოთხოვნებსაც, იმუშაოს საქართველოში."

გაგრძელება A2 გვერდზე

რელიგიური ძალადობის შეჩერების გზების ძიება

ქრისტოფერ ჰ. სმიტი

კრისტოფერ ჰ. სმიტი 20 წლის განმავლობაში აშშ-ს კონგრესის წევრია. იგი ამჟამად აშშ-ს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომიტეტის თანათავმჯდომარეა (ჰელსინკის კომიტეტი), წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოში არამართლმადიდებლური რელიგიური ჯგუფების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ფაქტები და სამთავრობო უწყებების მხრიდან შესაბამისი ზომების მიუღებლობა შეერთებული შტატების კონგრესის წევრებისა და, მათ შორის, ჩემი შეშფოთების მიზეზად იქცა. უკვე ოც წელიწადზე მეტია, კონგრესის წევრი ვარ და დიდად ვაფასებ საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის არსებულ კეთილგანწყობილ ურთიერთობებს. შეერთებულმა შტატებმა დიდი დახმარება გაუწია მის მეგობარ ქვეყანას საბჭოთა წყობის კოშმარიდან თავის დაღწევასა და გარდაქმნაში.11 სექტემბრის შემდეგ კი ეს დახმარება კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან შეერთებული შტატების სამხედრო ძალები წვრთნიან და გამოცდილებას უზიარებენ საქართველოს სამხედრო ძალებს ტერორიზმის წინააღმდეგ ჩვენს საერთო ბრძოლაში.

სამწუხაროდ, მას შემდეგ, რაც საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ გააღრმავა თანამშრომლობა ტერორიზმის აღმოფხვრის მიზნით, ჩვენ განსხვავებული და ძალზე შემაშფოთებელი ტენდენციის - ადგილობრივი ტერორიზმის მოწმენი გავხდით.

გაგრძელება A4 გვერდზე

პანკისის ხეობიდან მომდინარე სამი საფრთხე

ბადრი კოპლატაძე

პანკისის ხეობაში რუსეთის სამხედრო იერიშებმა საქართველოს ხელისუფლება აიძულა, სპეცოპერაცია დაეწყო და ხეობაში სამხედრო ნაწილები შეეყვანა. ახლა, ალბათ, ყველაზე ხელსაყრელი ფონია ამისათვის. თუმცა, შეიძლება, ეს ნაბიჯი საქართველოს ხელისუფლებისათვის, გარკვეული თვალსაზრისით, გადამწყვეტი აღმოჩნდეს, რადგანაც ამ ოპერაციას რამდენიმე მკაფიოდ გამოკვეთილი საფრთხე ახლავს.

პირველი (და ყველაზე საშიში) მომენტი ჯარის და ადგილობრივი მაცხოვრებლების ურთიერთობაა. საქართველოში დღემდე განხორციელებული ყველა სამხედრო კამპანია მოწმობს, რომ, თუ ეს ურთიერთობები ნორმალურ კალაპოტში არ მოექცა, ამას ავტომატურად მოჰყვება გართულებები. შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს, ტელევიზიით ათასგზის რეკლამირებულმა, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებმა შეიარაღებული ძალების პანკისში განლაგებაზე.

ბოლო პერიოდში უკვე რამდენჯერმე ითქვა, რომ თავის დროზე, აფხაზეთში ჯარების შეყვანის ერთერთი ყველაზე აქტიური მომხრე სწორედ ვლადისლავ არძინბა იყო. რაც მოჰყვა ყოველივე ამას, კარგად არის ცნობილი. ახლაც, თუ მოხდა ერთი ტრაგიკული ინციდენტი მაინც, შეიძლება ითქვას, რომ ხეობაში ზავივით აგორდება არასასურველი მოვლენები, რომელთა შეჩერებას მერე ვეღარავინ შეძლებს. უნდა გავითვალისწინოთ ადგილობრივი მოსახლეობისა და ლტოლვილების ფსიქოლოგიური განწყობა

გაგრძელება A4 გვერდზე

ამინდი

თბილისი	23
ქუთაისი	25
ბათუმი	23
ქობულეთი	24
სოხუმი	24
ფოთი	23
თელავი	21
ზუგდიდი	26
გორი	21

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1950
ევრო	2.1274
გირვანქა სტერლინგი	3.3349
რუბლი	0.0695

ერთი საათი პანკისის ხეობაში

ლევან ღირსიაშვილი

ხელისუფლება

პანკისის ხეობაში გუშინწინ დაწყებულმა ფართომასშტაბიანმა ანტიკრიმინალურმა ოპერაციამ მასმედიის და ადგილობრივი მოსახლეობის ძლიერი დაინტერესება გამოიწვია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებამ ოსტატურად გამოიყენა იმავე დღეს ახმეტაში სამხედრო სწავლების საზეიმო გახსნა და ჟურნალისტთა ყურადღება მთლიანად "კახეთი-2002"-ის დაწყებაზე გადაიტანა.

როგორც გატყობინებდით, ამის პარალელურად იმავე საათებში, პანკისის ხეობაში შინაგან საქმეთა და უშიშროების სპეციალური ქვედანაყოფები შევიდნენ. სპეცოპერაციაზე მასმედია არ დაუშვეს. ამას თავისი დადებითი მომენტები ოპერატიული ეფექტის თვალსაზრისით უდაოდ ჰქონდა.

მეორე დილით ახმეტის ცენტრში ქართველი ჟურნალისტების ნაწილი შეიკრიბა. ყველას ერთი სურვილი - პანკისის ხეობაში შესვლა ამოძრავებდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

ახალი ბლოკ-პოსტი პანკისის ხეობაში

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ხელისუფლებას სამხედრო ხარჯების გაზრდა მოუწევს

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება" სპეციალურად "24 საათისთვის"

მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ხელშესახები შედეგები არ ჩანს, 25 აგვისტოს პანკისის ხეობაში დაწყებულმა პოლიციურმა და სამხედრო ღონისძიებებმა საზოგადოების მხრიდან სრული მხარდაჭერა მოიპოვეს. ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი წინაპირობაა ნებისმიერი ჩანაფიქრის განსახორციელებლად. თუმცა, ანტიტერორისტული ოპერაციის ბოლომდე მისაყვანად საქართველოს ხელისუფლებას ახლო მომავალში მოუწევს დამატებითი საბიუჯეტო თანხების მოზიდვაზე ფიქრი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანტიტერორისტულმა და ანტიკრიმინალურმა კომპლექსურმა ღონისძიებებმა,

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A3 სამართალი A4 პოლიტიკა A4 თვალსაზრისი

B2 სპორტი B3 რეკლამა B4 სხვადასხვა

თბილისი. პოლიციამ საქართველოს პარლამენტის შენობის წინ, ექსპრეზიდენტის მომხრეებს მოედანი გადაუკეტა. როგორც ჩანს, სამართალდამცავი ორგანოები ასრულებენ დედაქალაქის ხელისუფლების გადაწყვეტილებას არასანქცირებული მიტინგებისა და აქციების აღკვეთის შესახებ იმ ადგილებზე, სადაც ეს ნებადართული არაა.

პოლიციელებმა მოედანი უკვე გაათავისუფლეს პლაკატებისგან, მეგაფონებისა და სხვა ატრიბუტებისაგან, რომლითაც ზვიადისტები, უკვე ორი თვეა, ყოველდღიური მიტინგების დროს სარგებლობდნენ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. უსახსრობის გამო საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი მონაწილეობას ვერ მიიღებს ტოკიოში გამართულ ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაში.

აღნიშნულ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ქვეყნების საექსპორტო პროდუქცია. შარშან იგივე გამოფენაში საქართველომ მონაწილეობა მიიღო, თუმცა, ამისათვის საჭირო თანხა 10 000 დოლარი მაშინ იაპონურმა მხარემ გაიღო. წლევანდელი გამოფენისათვის კი საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტს სპონსორი არ გამოუჩნდა და აღნიშნული ღონისძიება ქართული მხარის მონაწილეობის გარეშე გაიმართება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. ქართველმა მებაჟეებმა წითელ ხიდზე ავტომანქანა "გაზ 24" დააკავეს, რომელშიც 800 ეგზემპლარამდე რუსულ ენაზე დაბეჭდილი გაზეთი იყო. გაზეთებში ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ ეწერა. გაზეთებზე არც გამოცემის თარიღი და არც გამომცემლის ვინაობა არ იყო მითითებული. ტერორიზმთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლები ამან დააეჭვა და გაზეთები შემდგომი გამოკვლევისათვის თბილისში გადმოაგზავნეს. დაკავებული ავტომანქანის მძღოლის განცხადებით, გაზეთები მას უცნობებმა ნეიტრალურ ტერიტორიაზე გადასცეს და ისინი საქართველოში მცხოვრები ჩეჩენი დევნილებისათვის იყო განკუთვნილი. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. ეუთო-ს მისია საქართველოში საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე დამკვირვებელთა მეორე პოსტის ორგანიზაციისთვის მონიტორინგს ატარებს.

როგორც ეუთო-ს მისიის პრესოფიცრის მოვალეობის შემსრულებელმა ვიტოლდ კარპმა განაცხადა, ეუთო-ს ჯერ კიდევ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება დამკვირვებელთა მეორე პოსტის შექმნაზე. "დადებითი გადაწყვეტილებისთვის აუცილებელია ეუთო-ს ყველა წევრი ქვეყნის თანხმობა," - განაცხადა კარპმა. მისი თქმით, აღნიშნულ საკითხზე აქტიურ მუშაობას ეუთო სექტემბრიდან დაიწყებს.

ვიტოლდ კარპმა კომენტარის გარეშე დატოვა რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის კონტროლის დროს ეუთო-ს შესაძლებლობები შეზღუდულია. დიპლომატმა ასევე კომენტარი არ გაუკეთა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის ლევან ბერძენიშვილის გამონათქვამს, რომ თითქოს ეუთო-მ ორგანიზაციის შეურაცხყოფისათვის, შესაძლოა, რუსი მინისტრი დიდი თანხით დააჯარიმოს. ორივე შემთხვევაში ვიტოლდ კარპმა ოფიციალური ინფორმაციის არარსებობა მოიმიზეზა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს შსს-ს არ გააჩნია ინფორმაცია პანკისის ხეობაში ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის ყოფნის შესახებ,- განაცხადა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა პაატა გომელაურმა.

მისი თქმით, პანკისში შეიძლება იყოს "რამდენიმე ათეული შეიარაღებული პირი, რომელთა იქ ყოფნას კვირას დაწყებული სპეცოპერაცია ბოლოს მოუღებს".

პაატა გომელაურმა აღნიშნა, რომ ხეობაში მხოლოდ შინაგანი ჯარების ქვედანაყოფები იმყოფებიან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საჰაერო სივრცის გასაკონტროლებლად თავდაცვის სამინისტრო მათთვის ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხის გარდა 12,8 მილიონ დოლარს მოითხოვს. სამინისტროს უკვე შემუშავებული აქვს გეგმა, თუ რაზე უნდა დაიხარჯოს ეს თანხა.

გარდა ამისა, ამ თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია აქტიური ჩამომგდები საშუალებების მწყობრში მოყვანა, რათა დაცული იქნეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქალაქები და ობიექტები, მაგალითად - თბილისი და სუფსის ტერმინალი.

ამასთანავე, თავდაცვის სამინისტროს განზრახული აქვს, ამ თანხით შეიძინოს აქტიური ჩამომგდებების გადასატანი საშუალებები, რათა ჩამომგდებები საჭიროებისამებრ დანიშნულების ადგილას გადაიტანონ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

ახალციხე. ქართული სასაზღვრო რაზმის საწყობში ამ დღეებში აღმოჩენილი უცნობი წარმომავლობის ორი რადიოაქტიური წყარო რადიოლოგიის ინსტიტუტში მოათავსეს. ამჟამად სპეციალისტები მათ წარმომავლობას იკვლევენ.

აღნიშნული ორი ნივთიერება ბირთვული და რადიაციული სამსახურის სპეციალისტებმა სამცხე-ჯავახეთში ჩატარებული ექსპედიციისას აღმოაჩინეს. ნაპოვნია 25-მდე რადიაციული წყარო, მათ შორის, რადიუმ 226-ის ორი და კალიუმ 40-ის რამდენიმე წყარო, ასევე ავტომატის სამიზნეები. დადგენილი წყაროები დაბალი გამოსხივებისაა, თუმცა, მათთან ხანგრძლივი კონტაქტი ჯანმრთელობისთვის საზიანოა. აღსანიშნავია, რომ რუსი სამხედროების მიერ საწყობებში დარჩენილი ამ „ნობათის“ შესახებ სასაზღვრო რაზმის ხელმძღვანელობამ არაფერი იცოდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ახმეტა. ორდღიანი კოკისპირული წვიმების შედეგად, ადიდებულმა მდინარე ალაზანმა პანკისის ხეობა დააზარალა. სოფელ დუისის მოსახლეობას საცალფეხო და დაკიდული ხიდები წაღებული დახვდა. დატბორილია საკარმიდამო ნაკვეთები. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, მდინარის ნაპირს თითქმის არ გააჩნია დამცავი ჯებირები. იგი წლების განმავლობაში დაიშალა და ფუნქცია დაკარგა. მდინარე ალაზანი პრობლემას უქმნის ასევე ალვანი-ალავერდის დამაკავშირებელ ხიდს და თელავი-ნაფარეულის საავტომობილო გზას. მდინარემ რამდენიმე ადგილზე საგრძნობლად შეავიწროვა გზის მონაკვეთი. მოსახლეობის განცხადებით, კახეთისათვის მდინარე ალაზანი სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს. ფინანსები კი გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების საშუალებას მინიმალურადაც არ იძლევა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

გალი. როგორც სოხუმის ე.წ. ხელისუფლების განათლების მინისტრმა ბესლან დბარმა განაცხადა. სოხუმის ხელისუფლება გალის რაიონის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლებას წელსაც არ დაუშვებს. 2002 წლის სასწავლო წლიდან გალის რაიონის სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების დაწყების თაობაზე საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ანრი ჯერგენია მიმდინარე წლის მაისში გალში გამართულ შეხვედრაზე შეთანხმდნენ. მოგვიანებით, საქართველოსა და სოხუმის ხელისუფლების განათლების მინისტრების ალექსანდრე კარტოზიასა და ბესლან დბარს შორის აღნიშნულ საკითხზე გამართული შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა. **"ჩვენ ოპტიმალურად მიგვაჩნია გალის რაიონში არსებული ენობრივი ბალანსი"**, - აცხადებს დბარი, რომელიც გალის რაიონში რუსული ენის დომინირებით კმაყოფილია. მისივე განმარტებით, მომავალ სასწავლო წელს, ისევე, როგორც წინა წლებში, გალის რაიონის სკოლებში ქართველი ბავშვები 1-11 კლასებში მშობლიურ ენას, როგორც უცხო ენას, ისე ისწავლიან. დბარის განცხადებით, მას თვალით არ უნახავს "აფხაზეთის შესახებ" გაეროს უკანასკნელ რეზოლუცია, რომელიც აფხაზურ მხარეს დაბრუნებულ დევნილთა მშობლიური ენის სწავლებაზე დაწყების ხელშეწყობას ავალდებულებს.

სოხუმის ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, გალის რაიონის ტერიტორიაზე ქართული საშუალო და არასრული 32 სკოლა ფუნქციონირებს, რომლებშიც 4000-ზე მეტი ბავშვი სწავლობს და მათ სწავლა-აღზრდას 700 პედაგოგი ემსახურება. აღნიშნულ სკოლებში, გალის აფხაზური ადმინისტრაციის მკაცრი ზედამხედველობის მიუხედავად, ქართულ ენაზე სწავლება არალეგალურად მიმდინარეობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

მოსკოვი. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა უარყო აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ბრალდება რუსული ავიაციის მიერ პანკისის ხეობის დაბომბვის შესახებ.

ივანოვმა ჟურნალისტებთან შეხვდრისას აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებას, სადაც ამერიკელები აცხადებენ, რომ გააჩნიათ მტკიცებულებები რუსეთის თვითმფრინავების მიერ პანკისის ხეობის დაბომბვის შესახებ, - კომენტარი არ გაუკეთა, **"ჩემს მოვალეობებში არ შედის აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიციის კომენტირება,"** - განაცხადა ივანოვმა.

მისი თქმით, იმ რაიონში, "რომელიც თითქოსდა დაიბომბა, ეუთო-ს დამკვირვებლები დღემდე არ შეუშვიათ". "რაც შეეხება შესაძლო გამოძიებას, თავდაცვის სამინისტრომ მაშინვე ცხადად აღნიშნა, რომ ამგვარი გამოძიებისათვის მზად არიან, რათა წარმოვადგინოთ კონტროლის ობიექტური მონაცემები, მათ შორის რადიოლოკაციურიც," - განაცხადა მინისტრმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

მოსკოვი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საკითხში ქვეყნის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ვალერი ლოშჩინინი 22-23 აგვისტოს სოხუმს ეწვია და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ანრი ჯერგენიას შეხვდა.

მათ კოდორის ხეობაში არსებულ დაძაბულ ვითარებაზე იმსჯელეს და მოცემულ კონტექსტში დაძაბულობის განსამუხტავად გასატარებელი ზომები განიხილეს.

"საუბრის ყურადღების ცენტრში სოხუმსა და თბილისს შორის არსებულ ამჟამინდელ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები მოექცა", - აცხადებენ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

სანკ-პეტერბურგი. სექტემბერში პეტერბურგის მარინის თეატრში დათო ევგენიძის მიერ შექმნილი ბალეტის - „სტუმარი“ - პრემიერა გაიმართება.

ბალეტის ლიბრეტო დათო ევგენიძესა და დრამატურგ ლაშა ბუღაძეს ეკუთვნით. „სტუმარი“ თანამედროვე ბალეტია, რომელიც სპეციალურად პეტერბურგში მოღვაწე ქართველი ბალერინის ირმა ნიორაძისათვის შეიქმნა.

ბალეტს სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოები უდევს საფუძვლად და, როგორც ავტორი ამბობს, პეტერბურგული პრემიერის შემდეგ მას ქართველი მაყურებელიც იხილავს. **მედია-ნიუსი**

პარლამენტმა კინაღამ რააგდო ღირსების დოკუმენტი

პირველი გვერდიდან

მიმდინარეობს კენჭისყრა, გადარჩება თუ არა პარლამენტის ღირსება?! ლევან ხერხეულიძის ფოტო

დსთ-ს კოლექტიურ სამშვიდობო ძალებს და მათ უმოკლეს ვადებში დაატოვებინოს საქართველოს ტერიტორია". გარდა ამისა, მთავრობას ევალება, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების დროს, გაითვალისწინოს სამხედრო ძალების ფინანსური უზრუნველყოფის გაზრდისა და პრიორიტეტული დაფინანსების საკითხი.

პარლამენტი "უსაქმოდ" არც პრეზიდენტ შევარდნაძეს ტოვებს და მიმართავს მას, რომ დაიწყოს დსთ-ში საქართველოს გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულების დენონსაციისთვის აუცილებელი პროცედურები.

როდესაც პარლამენტის სხდომა დაიწყო, აღნიშნული დადგენილების პროექტი ჩასაგდებად განწირული ჩანდა. მართლაც, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ პრეზიდენტის მხარდამჭერი საპარლამენტო ძალები და პრორუსულად შერაცხული ბათუმური ალიანსის სუბიექტები ასეთ დოკუმენტს მწვანე შუქს აუნთებდნენ. დადგენილების პროექტის ჩასაძირად ბევრი სვლაც გაკეთდა. ასლანის მავრებმაც გააკეთეს თავისი საქმე და წასვლითაც წავიდნენ (პროტესტის ნიშნად, "აღორძინებამ" და სოციალისტებმა სხდომათა დარბაზი დატოვეს და კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს), ძალიან აქტიურობდა "მოქკავშირის" წარმომადგენელი ვიტალი ხაზარაძე - ედუარდ შევარდნაძემ ბრიფინგზე თავის საპარლამენტო დესანტს პირდაპირ მისცა სიგნალი, რომ რუსი სამშვიდობოების გაყვანაზე და დსთ-დან საქართველოს გამოსვლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი უნდა ყოფილიყო. მაგრამ დადგენილების პროექტი მაინც "გადარჩა".

ამას, ძირითადად, ორი მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი, დადგენილება ძალიან დაბალი ქვორუმის პირობებში გავიდა - მის მისაღებად სულ 81 ხმა იყო საჭირო. ამდენის მოგროვება კი ოპოზიციას დღევანდელ სიტუაციაში ნამდვილად შეუძლია. მეორეც: იმ ანტირუსული განწყობის ფონზე, რომელიც ქართულ საზოგადოებაში და პოლიტიკურ წრეებში 23 აგვისტოს შემდეგ შეიქმნა, ზოგიერთმა პროსახელისუფლებო ძალამაც ვერ გაბედა, რუსული სამხედრო მანქანის საწინააღმდეგო პათოსით გამსჭვალულ დოკუმენტზე პირდაპირ გაელაშქრა. ასეთმა დეპუტატებმა (ძირითადად, "მოქკავშირის"წევრებმა) დადგენილების წინააღმდეგ ხმის მიცემა "ვერ იკადრეს" - მათ, უბრალოდ, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს...

თუმცა, სავარაუდოა, რომ ოპოზიციის გუშინდელი გამარჯვება მაინც ილუზორულია. ყოველ შემთხვევაში, ძნელად წარმოსადგენია, რომ მან თავისი გამარჯვების ნაყოფი მოიმკას. დავიწყოთ იქიდან, რომ პარლამენტს ადრეც აქვს მიღებული დოკუმენტი კონფლიქტის ზონიდან რუსული სამშვიდობო ძალების გაყვანის თაობაზე (თანაც, თავად პრეზიდენტის წაქეზებით!), მაგრამ შევარდნაძე ამის გაკეთებას რომ სამომავლოდაც არ აპირებს, მან გუშინაც დაადასტურა. შევარდნაძე ასევე უარს ამბობს დსთ-ს რიგებიდან საქართველოს გამოყვანაზე და თავის პოზიციას, ალბათ, არც პარლამენტის მიერ გუშინ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ შეიცვლის. მითუმეტეს, რომ საკანონმდებლო ორგანოს დადგენილებას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და არა სავალდებულო.

ასევე არარეალური ჩანს დადგენილების იმ პუნქტის რეალიზება, რომელიც სამხედრო ძალების ფინანსური უზრუნველყოფის გაზრდასა და პრიორიტეტულ დაფინანსებას შეეხება - როდესაც სახელმწიფო ხაზინა ცარიელია, მთავრობას ყოველთვის ექნება იმის თქმის საბაბი, რომ ძალოვნების მიმართ ხელგაშლილობას ვერ გამოიჩენს.

ამდენად, შეიძლება ვთქვათ, რომ ოპოზიციის გუშინდელი წარმატება უფრო მორალური ხასიათის იყო, ვიდრე "მატერიალური".

ამასთან, როდესაც თავად ოპოზიციაზე ვსაუბრობთ, მათი "განშრევება" აუცილებელია: სოციალისტებიც და "აღორძინებაც" თავის თავს ამ ბანაკს მიაკუთვნებენ, მაგრამ გუშინ ისე მოხდა, რომ ისინი შევარდნაძის პოზიციის მხარდამჭერთა რიგებში აღმოჩნდნენ. თუმცა, "აღორძინებამ" ეს უფრო ტექნიკურად გააკეთა. იგი დადგენილების ტორპედირებას პრეზიდენტის და ძალოვანი სტრუქტურების კრიტიკისა და განქიქების საშუალებით შეეცადა.

ასეთი "დრამატული" დადგენილების ორგვლივ გაჩაღებულმა დებატებმა ხელი შეუშალა მეორე "დიდ სანახაობას" - "იტერას" გარშემო "ნაციონალების" მიერ დაგეგმილ აჟიოტაჟს. ამაში მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის თავმჯდომარე დაადანაშაულა.

"პრეზიდენტის დავალება "ხუთიანზე" შეასრულეთ, როდესაც "იტერას" საკითხი ბოლო საკითხად გადადეთ", - ნინო ბურჯანაძეზე იყარა ჯავრი "ნაციონალების" ლიდერმა, რომელსაც გული უგრძნობდა, რომ მისი ფრაქციის ინიციატივით შემუშავებული დადგენილების პროექტი ჩავარდებოდა. ასეც მოხდა: მხოლოდ 55 პარლამენტარის მხარდაჭერა სტრატეგიული ობიექტების პრივატიზაციის შესაჩერებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

და ბოლოს: საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორი მიმართვა - რუსეთის პარლამენტისადმი და საერთაშორისო საზოგადოებრიობისადმი, რომლებიც, როგორც ასეთი ტიპის დოკუმენტებს შეეფერება, საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა: გამოთქმულია აღშფოთება 23 აგვისტოს ფაქტთან დაკავშირებით და მადლიერებაა გამოხატული აშშ-სა და რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ - **"საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის სამართლიანი შეფასებისთვის".**

„რუსეთს სჭირდება საქართველო, საქართველოს კი - რუსეთი"

შევარდნაძის ახალი დევიზი

პირველი გვერდიდან

პრეზიდენტის ბრიფინგი ლევან ხერხეულიძის ფოტო

შევარდნაძე აცხადებს, რომ პანკისის დაბომბვამ უარყოფითი გავლენა არ უნდა მოხდინოს საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაზე. მას სჯერა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ამ ინციდენტთან კავშირში არ არის და დაბომბვები მხოლოდ ცალკეული გენერლების თვითნებობის შედეგია.

პრეზიდენტს ამჯერად არ უხსენებია ის უცნაური დამთხვევა, რომ ყოველთვის, როცა საქართველოს ტერიტორია იბომბება, პუტინი მოსკოვში არ არის და, შესაბამისად, არც საქმის კურსშია.

შევარდნაძეს არც იმ ალოგიკურობაზე გაუმახვილებია ყურადღება, რომ, თუ პანკისის ოპერაცია რუსეთის პრეზიდენტის ბრძანების გარეშე ჩატარდა, მაშინ პუტინს შეშფოთება მაინც უნდა გამოეხატა და მის მინისტრებს უკიდურეს ცინიზმამდე და გაშარჟებამდე არ უნდა აეყვანათ ქართული ტერიტორიების დაბომბვის ფაქტი.

რუსეთის პრეზიდენტი შევარდნაძეს ტელეფონითაც არ დაკავშირებია, სამაგიეროდ, საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს, რომ მას ორი დღის წინ წერილი გაუგზავნა, რომელშიც კონკრეტული ფაქტებია მოყვანილი და არის მსჯელობა იმაზეც, თუ როგორ უნდა განვითარდეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები მომავალში.

"საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუ რუსეთის ხელმძღვანელობა მომხდარს აღიარებს და ბოდიშს მოიხდის," - ამბობს სენატორ ბრაუნბეკისაგან წახალისებული პრეზიდენტი. შეგახსენებთ, სენატორი ბრაუნბეკი იყო პირველი, ვინც რუსეთს მოსთხოვა, ბოდიში მოეხადა პანკისის დაბომბვისა და საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევის გამო.

რაც შეეხება პანკისის სპეცოპერაციას, პრეზიდენტის თქმით, ის გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და, ალბათ, წარმატებითაც დამთავრდება: **"ოპერაცია კარგად არის მომზადებული. რაც მთავარია, მის ჩასატარებლად ხეობაში მოსახლეობის განწყობა ძალიან ხელსაყრელია."**

ხელისუფლებას სამხედრო ხარჯების გაზრდა მოუწევს

პირველი გვერდიდან

რომელთა დაფინანსებასაც ბიუჯეტი არ ითვალისწინებდა, შესაძლოა, ძალისმიერი სტრუქტურები სერიოზული ფინანსური კრიზისის წინაშე დააყენოს.

მიუხედავად ჭარბი სამხედრო ძალის კონცენტრაციისა, ოპერატიული ვითარება რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე კვლავინდებურად მეტად რთული რჩება და ვერც ერთი ძალოვანი უწყების ხელმძღვანელი ვერ გამორიცხავს სხვადასხვა სახის პროვოკაციის განმეორებას რუსეთის მხრიდან. პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული სწავლების - "კახეთი 2002"-ის გახსნის ცერემონიაზე ამ საფრთხის არსებობა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემაც დაადასტურა. **"გარანტიას ვერავის მივცემ, რომ დაბომბვა არ განმეორდება. უფრო სავარაუდოა, რომ განმეორდება,"** - განუცხადა ჟურნალისტებს თევზაძემ.

თავის მხრივ, სიტუაციის გართულებას ელოდება საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძეც, რომლის ხელქვეითები, კოორდინაციის მიზნით, ასევე მონაწილეობენ ანტიტერორისტული სწავლების ოპერატიული შტაბის მუშაობაში.

ვალერი ჩხეიძე: **"რთული სიტუაციაა, ოპერატიული ვითარება დაძაბულია. წუთი წუთზე მოსალოდნელია სახმელეთო საზღვრის დარღვევა. ასე რომ, მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში ვართ. დამატებითი ძალებიც გადასროლილია. მართალია, სხვა სასაზღვრო საგუშაგოების ხარჯზე, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა გამოსავალი არ არის."**

ასეთ არაპროგნოზირებად ვითარებაში იზრდება იმის ალბათობა, რომ, შესაძლოა, სამხედრო სწავლება და ანტიკრიმინალური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები პანკისის ხეობაში დაგეგმილ სამკვირიან ვადაში ვერ დამთავრდეს. მეტიც, ბევრი ქართველი სამხედრო უკვე შეგუებულია იმ აზრს, რომ ისინი ხეობაში, შესაძლოა, მთელი წლის განმავლობაში დარჩნენ. მოვლენათა ასეთი განვითარება კი დამატებით ფინანსურ სიძნელეს შეუქმნის თავდაცვის სამინისტროსაც და პოლიციის სტრუქტურებსაც, რომლებსაც სამხედრო სწავლებისთვის გამოყოფილი თანხები თითქმის ამოწურული აქვთ.

როგორც საფინანსო საკითხებში საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, გენერალმა ნუგზარ ქევხიშვილმა "რადიო თავისუფლებასთან" საუბარში განაცხადა, "კახეთი 2002"-ის დაფინანსება, ძირითადად, შიდა რეზერვებისა და მესამე კვარტლის დაცული მუხლების ანგარიშზე მოხდა, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ სწავლებაზე დახარჯული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ დაიფარა, მომავალში ვალების დაგროვება კვლავ დაცული მუხლების ხარჯზე გაგრძელდება. საბოლოოდ კი, თავდაცვის სამინისტრო იძულებული გახდება, მიმართოს წარსულის მანკიერ საფინანსო პრაქტიკას და, ყბადაღებული სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, გაუყინოს ხელფასები სამხედრო მოსამსახურეებს.

ამიტომ რამდენიმე ქართველი პარლამენტარი, კერძოდ კი გიორგი ბარამიძე, ძალოვანი უწყებისთვის დამატებითი დაფინანსების ინიციატივით გამოვიდა.

გიორგი ბარამიძე: **"მომავალ წელს კი არა, ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, რომ, როდესაც პარლამენტი დღის ორ საათზე შეიკრიბება, სასწრაფოდ მივიღოთ გადაწყვეტილება ბიუჯეტის ცვლილებასთან დაკავშირებით."**

ეს ინიციატივა 26 აგვისტოს მიღებულ პარლამენტის დადგენილებაში მართლაც აისახა. თუმცა, "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის მიხეილ სააკაშვილის გარდა, როგორც ჩანს, ჯერჯერობით, არავის დაუსახელებია კონკრეტულად, თუ სად შეიძლება გამოიძებნოს დამატებითი დაფინანსების წყარო.

მიხეილ სააკაშვილი: **"პრეზიდენტ შევარდნაძის პირადი დაცვა 80-დან 90 მილიონ ლარამდე ღირს. ეს არის ზუსტად ცხრაჯერ მეტი, ვიდრე საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტზე იხარჯება. ამის ნახევარი საკმარისია იმისათვის, რომ რუსეთის ნებისმიერი პროვოკაცია, ყოველგვარი პროვოკაცია საქართველოს საზღვრებზე აღკვეთილ იქნას."**

მეტი სიზუსტისთვის დავძენთ, რომ საქართველოს საჰაერო თავდაცვის სისტემის მწყობრში ჩასაყენებლად, ანუ იმისთვის, რომ ქვეყანა შიშით არ ცახცახებდეს რუსეთის ნებისმიერი სამხედრო თვითმფრინავის გამოჩენაზე, სამხედრო უწყებას სულ 12 მილიონი ლარი ესაჭიროება. მაგრამ, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, თანხების მოკლება არც აღმასრულებელ ხელისუფლებას სურს და, თუ გულწრფელები ვიქნებით, არც ქართული არმიის პრობლემებით შეწუხებულ პარლამენტარებს, რომლებმაც წინა საბიუჯეტო წელს არმიას კვლავ ქამრის წელზე შემოჭერა მოსთხოვეს, თავად კი საკუთარი შრომითი ანაზღაურების თითქმის სამჯერ გაზრდა უმტკივნეულოდ მოახერხეს.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეკავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე. ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან საფლობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

საქართველოს დაბომბვა - კიდევ ერთი დარტყმა აშშ-რუსეთის ურთიერთობებზე

პირველი გვერდიდან

ამერიკის უკმაყოფილებას იწვევს "ბოროტების ღერძად" გამოცხადებულ სამ სახელმწიფოსთან – ირანთან, ერაყთან და ჩრდილოეთ კორეასთან რუსეთის კავშირების გაღრმავება. გასული თვენახევრის მანძილზე რუსეთმა ხელი მოაწერა 40 მილიარდ დოლარიან სავაჭრო ხელშეკრულებას ერაყთან, დათანხმდა ირანისათვის კიდევ 5 ბირთვული რეაქტორის აშენებას (საინტერესოა, რაში სჭირდება ნავთობითა და გაზით საოცრად მდიდარ ქვეყანას ატომური ელექტროსადგურები?) და ჩრდილოეთ კორეის ლიდერს კიმ ჩენ ირს უმასპინძლა. გაზეთ "ფაინენშელ ტაიმსის" ცნობით, ირანთან და ერაყთან დადებულმა შეთანხმებებმა ვაშინგტონის სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. ამას დაემატა საქართველოზე თავდასხმაც, რამაც უთანხმოების არსებობა უკვე აშკარა გახადა.

მოსკოვსაც აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზი, რომ ვაშინგტონით უკმაყოფილო იყოს. ბრიტანული "ტაიმსის" ცნობით, **"11 სექტემბრის შემდეგ პუტინმა მწვანე შუქი აუნთო აშშ-ს მიერ ცენტრალური აზიის ქვეყნების სამხედრო ბაზების გამოყენებას, ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოებასა და აშშ-ს მიერ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან გამოსვლას; დახურა სამხედრო ბაზები კუბასა და ვიეტნამში და მნიშვნელოვანი სადაზვერვო მხარდაჭერა გაუწია ანტიტერორისტულ კოალიციას, სანაცვლოდ კი ბევრი ვერაფერი მიიღო"**.

მაინც, რას ელოდა მოსკოვი? როგორც ალექსეი არბატოვმა, დუმის წევრმა და უსაფრთხოების საკითხების ცნობილმა ექსპერტმა, განუცხადა გაზეთ "ვაშინგტონ პოსტს," პუტინს იმედი ჰქონდა, **"რომ მისი მხრიდან სამხედრო და პოლიტიკურ საკითხებში დათმობებზე წასვლა, ეკონომიკურ თანამშრომლობას წაახალისებდა"**.

თუ ეკონომიკური სარგებლის მიღება მართლაც პუტინის პროდასავლურობის ძირითადი მიზანია, მაშინ უნდა ითქვას, რომ მისმა პოლიტიკამ არ გაამართლა, ყოველ შემთხვევაში, - ჯერჯერობით მაინც. გაზეთ "გარდიანის" აზრით, რუსეთისათვის განსაკუთრებით დამამცირებელია ის გარემოება, რომ მის წინააღმდეგ ჯეკსონ-ვენიკის შესწორება ჯერაც არ გაუქმებულა (თუმცა, დროებით შეჩერებულია). მინიმუმ 2004 წლამდე გადაიდო რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება. ამასთანავე, მართალია, აშშ-მა (და ევროკავშირმა) რუსეთი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნად აღიარა, მაგრამ ეს რუსეთში უცხოურ ინვესტიციებს არაფრით დასტყობია. პირიქით, "ვაშინგტონ პოსტის" ცნობით, გასული 6 თვის მონაცემებით, რუსეთში უცხოური ინვესტიციების მოცულობა 25 პროცენტით შემცირდა.

ამიტომ, არათუ ულტრაკონსერვატორი რუსი სამხედროები, არამედ ისეთი ლიბერალებიც, როგორიც არბატოვია, ფიქრობენ, რომ პუტინის პოლიტიკამ არ გაამართლა: **"ეს არც მოხდება. ბოლოს იგი ვერც ეკონომიკურ თანამშრომლობას მიიღებს და მისი სტრატეგიული პოზიციებიც, ამდენი დათმობის შემდეგ, ძალზე შესუსტდება"**.

ამერიკულ გაზეთ "ქრისჩიენ საიენს მონიტორს" მოჰყავს ფელგენგაუერის მოსაზრება, რომ **"რუსეთის მმართველ ელიტაში არიან სერიოზული ძალები, რომლებსაც არ სურთ ვაშინგტონთან მჭიდრო თანამშრომლობა და ისინი უკვე წარმატების ზღურბლთან იმყოფებიან"**.

მართლაც, აცხადებენ რუსი კონსერვატორები, თუ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზანი ეკონომიკური სარგებლის მიღებაა, მაშინ ამგვარი სარგებელი გაცილებით უფრო იოლად შეიძლება მივიღოთ ერაყთან და ირანთან ურთერთობით, ვიდრე ამერიკის მხარდაჭერით.

მაგრამ, რა შუაშია აქ საქართველოს დაბომბვა?

არ შეიძლება ამ კითხვაზე პასუხის ცალმხრივად გაცემა. ზოგი ფიქრობს, რომ პუტინი, რომელმაც სამხედროები ზოგიერთი მიმართულებით შეავიწროვა, იძულებული გახდა, საქართველო და კავკასია მათთვის "მიეგდო". რუსეთის სამხედრო ელიტას კი საგარეო პოლიტიკის წარმართვის მეტად თავისებური მეთოდები აქვს. სხვები ფიქრობენ, რომ საქართველოს წინააღმდეგ აგრესიით, პრეზიდენტი თავისი მზარდად ნაციონალისტური ელექტორატის გულის მოგებასა და იმის დემონსტრირებას ცდილობს, რომ ვაშინგტონისათვის წინააღმდეგობის გაწევა კიდევ შეუძლია. ყველაზე მეტი მომხრე კი, ალბათ, იმ მოსაზრებას ჰყავს, რომ, საქართველოზე ზეწოლით, რუსეთს აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოდერეფნის გადაკეტვა, მარადმღელვარე ჩრდილოეთ კავკასიის მისადგომებიდან ამერიკული და თურქული გავლენის აღმოფხვრა და საქართველოსა და მთლიანად კავკასია-ცენტრალური აზიის რეგიონზე ბატონობის აღდგენა სურს.

რაც არ უნდა იყოს მიზეზი, ვფიქრობთ, აშკარაა, რომ რუსეთი საქართველოსთან და, ალბათ, მთლიანად კავკასიასთან ურთიერთობას აშშ-სთან მეტოქეობის კონტექსტში განიხილავს და რაც უფრო გამწვავდება მათ შორის დაპირისპირება, მით უფრო გაიზრდება საქართველოზე ზეწოლაც. თუმცა, მეორე მხრივ, ასეთ შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ დასავლეთის მხრიდან მხარდაჭერაც გაიზარდოს. ეს კი, ალბათ, რუსეთის შემაკავებელი ერთადერთი ფაქტორია, ყოველ შემთხვევაში, იქამდე, სანამ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი თავაზიანად მოქცევას არ ისწავლის.

რუსი მესაზღვრეები თანამებრძოლებმა დახოცეს

ბოთა უტიაშვილი

საქართველო-ინგუშეთის საზღვარზე რვა რუსი მესაზღვრის გვამის აღმოჩენის შემდეგ რუსული პოლიტიკოსები და ჟურნალისტები საქართველოს მისამართით ძალზე აგრესიულ განცხადებებს აკეთებდნენ და "ვითარების უკიდურესი გამწვავებით" იმუქრებოდნენ. "კარგად ინფორმირებული" რუსული წყაროების ცნობით, ეს შემზარავი დანაშაული გილაევის რაზმმა ჩაიდინა, რომელიც საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე გადადიოდა. მათი აზრით, ამ ინციდენტში დანაშაული, პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლებას მიუძღვის, რომელმაც გილაევის რაზმი დაუბრკოლებლად გაატარა.

რუსი სამხედროების ვერსიით, საპატრულო რაზმი "ზასადა," ათი კაცის შემადგენლობით, საზღვარზე პატრულირებდა, როდესაც იგი ბოევიკების მიერ მოწყობილ ხაფანგში აღმოჩნდა. ჩეჩნებმა ახლო მანძილიდან იმდენად სწრაფად გაანადგურეს რუსები, რომ მათ რადიოკავშირზე გასვლაც ვერ მოასწრეს. რუსი სამხედროები აცხადებენ, რომ მხოლოდ 8 მესაზღვრის გვამია ნაპოვნი, დანარჩენი ორი კი, მათი ვარაუდით, ჩეჩენმა ბოევიკებმა დაატყვევეს და საქართველოში გადაიყვანეს, რომელიც "კრიმინალებისა და ტერორისტების ბუდედ" არის ქცეული.

როგორც ჩანს, "ტერორისტებისა და კრიმინალების ბუდედ" თავად რუსეთის არმიაა ქცეული. გუშინ ინგუშეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ხამატხან ალბაკოვმა განაცხადა, რომ თანამებრძოლები სწორედ ორმა გადარჩენილმა მესაზღვრემ დახოცა, შემდეგ კი იარაღი (მათ შორის, 2 ტყვიამფრქვევი) გაიტაცა და ჩრდილოეთ ოსეთში მიიმალა. ისინი ადგილობრივმა მოსახლეობამ სოფელ ბალტას ახლომახლო შენიშნა. აღნიშნული ვერსია უკვე გასაგებს ხდის იმას, თუ რატომ არიან მესაზღვრეები ახლო მანძილიდან გასროლით დახოცილნი და რატომ ვერ მოახერხეს მათ რადიოკავშირზე გასვლა. მათ საძებნელად მთელი ჩრდილოეთ კავკასიის შინაგან საქმეთა განყოფილებები მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე არიან გადასული. უშიშროების ფედერალურმა სამსახურმაც დაადასტურა, რომ ინციდენტის ადგილას ბოევიკთა ყოფნის კვალი არ აღმოჩნდა.

სამხედროები, რომლებიც "მუნდირის ღირსებას" უფრთხილდებიან, ისევ პირველ ჩვენებას უჭერენ მხარს. როგორც ჩანს, ისინი მაგალითს თავიანთი მინისტრისაგან იღებენ, რომელმაც გუშინ კვლავ გაიმეორა თავისი აბსურდული განცხადება, თითქოს საქართველოს ტერიტორია თავად ქართველებმა დაბომბეს.

„გლობალური აპარტეიდი" - მსოფლიოში უთანასწორობას ბოლო არ ეღება

გიორგი ხელაშვილი

სიღატაკის აღმოფხვრისა და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის იოჰანესბურგში გახსნილი მორიგი "მსოფლიო სამიტი" პესიმისტური განწყობით დაიწყო.

"მსოფლიოში მდიდარი უმცირესობა კვების, კომფორტისა და წარმატების უპრეცედენტო დონეს აღწევს, ხოლო ღარიბი უმრავლესობა ყოველდღიურ გაჭირვებას, ტანჯვასა და დეჰუმანიზაციას განიცდის," – პირდაპირ განაცხადა სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტმა ტაბო მბეკიმ გაერო-ს მდგრადი განვითარების ათდღიანი მსოფლიო კონფერენციის გახსნის ცერემონიაზე.



სამიტის გენერალური მდივანი ნიტინ დესაი და სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი ტაბო მბეკი.

REUTERS

მსოფლიოს 200-მდე ქვეყნიდან სამხრეთ აფრიკის ქალაქ იოჰანესბურგში, დაახლოებით, 20 ათასი დელეგატი შეიკრიბა. მათი მთავარი მიზანი მსოფლიოში სიღატაკის დაძლევა და გარემოს დაცვის გაუმჯობესებაა.

მომდევნო დღეებში იოჰანესბურგში მსოფლიოს მრავალი ლიდერი ჩავა, მაგრამ მათ შორის არ იქნება შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში. ბუშის არყოფნა სიმბოლურია იმდენად, რამდენადაც მსოფლიო სამიტის მთავარი პრობლემების გადაწყვეტა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ შეერთებულ შტატებზეა დამოკიდებული.

სულაც არ არის შემთხვევითი, რომ სამიტის დელეგატების უმრავლესობა პესიმისტურადაა განწყობილი – წინა, 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს სამიტის შემდეგ მსოფლიოს დიდი პროგრესი არ განუცდია არც სიღატაკის აღმოფხვრის და არც გარემოს დაცვის გაუმჯობესების მიმართულებით. მიმდინარე სამიტზე ქვეყნის მეთაურებსა და მინისტრებს ისევ ამ პრობლემებთან მოუხდებათ ჭიდილი.

ახლანდელ სამიტზე დელეგატები ხუთ ძირითად პრობლემას განიხილავენ – სუფთა წყლით პლანეტის მოსახლეობის მომარაგებას, ენერგეტიკული რესურსების სუფთა ათვისებას, ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას, სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას და დედამიწის ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას. ყველა ეს პრობლემა "მდგრადი განვითარების" ერთიან ცნებაში ექცევა.

ცნება "მდგრადი განვითარება", რომელიც ათი წლის წინ რიოს სამიტზე გაჩნდა, საზოგადოების ისეთ განვითარებას გულისხმობს, რომელიც გარემო პირობებს არ გააუარესებს. ამის მიღწევა ძნელი აღმოჩნდა განვითარებული ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა კი, შეერთებული შტატების წინააღმდეგობის გამო. არც ამერიკას და არც ევროპული ქვეყნების უმრავლესობას გულზე არ ეხატებათ ზედმეტი თანხების გამოყოფა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ღარიბი ქვეყნების დასახმარებლად. ვაშინგტონი დაჟინებით აცხადებს, რომ ღარიბი ქვეყნების ჩამორჩენის მიზეზი საგარეო დახმარების ნაკლებობა კი არა, კორუფცია და მთავრობების უპასუხისმგებლობაა.

საპასუხოდ, ჩამორჩენილი ქვეყნების წარმომადგენლები და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები აცხადებენ, რომ შეერთებული შტატები და ევროპის ქვეყნები, ვაჭრობაში ხელშეწყობის ნაცვლად, სულ უფრო ხშირად მიმართავენ პროტექციონისტულ პოლიტიკას საკუთარი მწარმოებლების დასაცავად, რაც ისედაც ღარიბი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას დამატებით სიძნელეებს უქმნის.

60-იან და 70-იან წლებში, წარმატებული "მიუმხრობლობის მოძრაობის" შემდეგ, მსოფლიოს ღარიბმა ქვეყნებმა საკუთარი ინტერესების დასაცავად ერთიანი ფრონტით გამოსვლის უნარი დაკარგეს და იძულებულნი არიან, განვითარებული ქვეყნების წყალობას დაჯერდნენ. ბოლო ხანს მათი ინტერესების დამცველებად აქტიურად გამოდიან ანტიგლობალისტები, რომლებიც საერთაშორისო მნიშვნელობის ნებისმიერ სამიტზე და კონფერენციაზე, პირდაპირი მნიშვნელობით, "ხმას იმაღლებენ" ღარიბი ქვეყნების ინტერესების დასაცავად. მაგრამ მათი "ხმა" აშკარად არ არის საკმარისი მდიდარი ქვეყნების დასარწმუნებლად, მეტი თანხები გამოჰყონ განვითარებადი სამყაროსათვის.

იოჰანესბურგის სამიტზე დემონსტრანტების წინააღმდეგ 10 ათასი პოლიციელია მობილიზებული. ასე რომ, ღარიბ სახელმწიფოებს არც საკონფერენციო დარბაზში და არც მის გარეთ წარმატების შანსი აღარ რჩებათ. შეერთებული შტატები ყოველნაირად შეეწინააღმდეგება საგარეო დახმარების გაზრდისა და ღარიბი ქვეყნების იმპორტისათვის ამერიკული ბაზრის გახსნის კონკრეტული გეგმების დასახვას.

იოჰანესბურგის სამიტი, იმედების მიუხედავად, შეიძლება, განწირული აღმოჩნდეს. ტაბო მბეკის სიტყვებით რომ ვთქვათ, "გლობალური აპარტეიდი", ალბათ, კვლავაც გაგრძელდება – მდიდრები კიდევ უფრო გამდიდრდებიან, ღარიბები კი გაღარიბდებიან.

სამართალი

პოლიციისგან დაზარალებული დღემდე ტერორშია

ამ საკნებს მიღმა კანონი ხშირად ირღვევა.

ხათუნა ჯანგირაშვილი

სამი თვის წინ ქვეყნის ხელისუფალმა სპეციალური განკარგულება გამოსცა, რომლის მიხედვითაც სამართალდამცავ სტრუქტურებს ამავე სტრუქტურების საქმიანობის გამოძიება დაევალათ. ბრძანებულება ადამიანების უკანონოდ დაპატიმრებისა და მათი წამების თითოეული ფაქტის გამოძიებას, ასევე დამნაშავე სამართალდამცველთა დასჯას ითვალისწინებდა.

სამი თვის თავზე ამ კუთხით გამოძიებული საქმეებისა და დასჯილი პოლიციელების ნუსხა თითქმის არ არსებობს. ბოლო დროს რამდენიმე გახმაურებულ ამბავს მხოლოდ ორი-სამი "მსხვილი" პოლიციელის თანამდებობა შეეწირა.

ხობელი პოლიციელების მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე "24 საათი" რუბრიკაში "დანაშაული და სამართალი" წერდა. პოლიციელთა მსხვერპლი ჯუმბერ ქირია სახლიდან ვერ გამოდის. მასაც და მის ოჯახსაც ხობელი პოლიციელები დღემდე ემუქრებიან და აშინებენ.

"რამდენიმე თვეა, სახლიდან არ გამოვსულვარ, თავს ვარიდებ მათთან შეხვედრას. ორად ორჯერ გავედი ქუჩაში და მაშინვე ჩემი პროვოცირება სცადეს. ვიცი, არ დამინდობენ," - გვითხრა პოლიციისგან დაზარალებულმა ქირიამ, რომელიც 9 აპრილს, გამთენიისას ხობის პოლიციის შენობასთან შემთხვევითმა გამვლელებმა სასტიკად ნაცემი, უგონო მდგომარეობაში მყოფი იპოვეს. იგი საავადმყოფოში წაიყვანეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

როგორც გაირკვა, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა პოლიციის უფროსის მოადგილემ კობა შუშანიამ, ნარკომანიასთან ბრძოლის განყოფილების უფროსმა ბისმარკ კემულარიამ და სამძებროს ინსპექტორმა რუსლან ჭითავამ ღამის პირველ საათზე ჯუმბერ ქირია სახლიდან გაიყვანეს – რაღაც სალაპარაკო გვაქვსო. პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს და უმიზეზოდ ცემა-წამების შემდეგ თითქმის უგონოდ მყოფი ქუჩაში დაადგეს. პოლიციის განყოფილებაში მიყვანილი ქირია სხვადასხვა ბლაგვი საგნით დაუნდობლად რომ სცემეს, ამას სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაც მოწმობს:

"დილის ექვს საათზე საავადმყოფოში მიყვანილ ქირიას აღენიშნებოდა მარჯვენა თვალბუდის ჰემატომა; მრავლობითი ესკორაციები სახეზე და მუხლის სახსარზე; თავის ქალის დახურული დაზიანება და ტვინის მძიმე ფორმის შერყევა. აღნიშნული დაზიანებები მიყენებულია ბლაგვი საგნის მეშვეობით", - ასეთია ექიმების დიაგნოზი, რომლის გამოც დაზარალებულმა სამი თვე საავადმყოფოში გაატარა. პოლიციელებმა მას საავადმყოფოშივე შეუთვალეს, რომ თუ ხმას ამოიღებდა მომხდარის შესახებ, მის ოჯახს კარგი დღე არ დაადგებოდა. ამის შემდეგ ქირიას შვილებს სკოლაში აღარ უვლიათ. თანასოფლელებმა კი პრეზიდენტის, პარლამენტის, გენერალური პროკურატურისა და შსს-ს სახელზე 574 კაცის მიერ ხელმოწერილი განცხადება გააგზავნეს. ხობელი პოლიციელების საქციელის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ქირიების ოჯახის მიმართ ახალ-ახალი მუქარა და ზეწოლა მოჰყვა. ცოტა ხანში ქირიას უფლებების დამცველს, სახალხო დამცველის რწმუნებულს - ნაზი არონიას ზუგდიდში უცნობმა პირებმა ღამით საცხოვრებელი სახლი დაუცხრილეს. ამას დაემთხვა ისიც, რომ ასევე უცნობმა პირებმა ღამის საათებში დაარბიეს ეთერ მგალობლიშვილის საცხოვრებელი სახლიც. ეთერ მგალობლიშვილი ის ქალბატონი გახლავთ, რომელმაც ქირიას ცემის ფაქტთან დაკავშირებით ხამისქურელების (ქირიას თანასოფლელების) მიერ ხელმოწერილი განცხადება საკუთარი ხელით მიიტანა გენერალურ ინსპექციაში და მომხდარის გამოძიება მოითხოვა. გენერალურმა პროკურატურამ პოლიციელთა მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე კონტროლი დააწესა. ძიების მსვლელობას კურირებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია.

ამ ყველაფერს კი შედეგად ის მოჰყვა, რომ ქირიების ოჯახი, როგორც თავად დაზარალებული აცხადებს, დღემდე ტერორშია. პოლიციისგან დაზარალებული, უარესი შედეგისა და ახალი "სიურპრიზების" მოლოდინის გამო ჩვენებას არ იძლევა. იგი, რამდენიმე თვის წინ მიღებული სერიოზული დაზიანებების გამო, დღესაც შეუძლოდ იმყოფება. ჯუმბერ ქირიას, მისი ოჯახისა და თანამდგომთა მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტერორის უშუალო აღმსრულებელნი კი დღესაც პოლიციის რიგებში არიან და კანონიერების დაცვა ევალებათ.

"ის, რაც მე შემემთხვა, ჯაჭვის ერთი რგოლია. რამდენიმე თვეა, ღვთის წყალობით, ვცოცხლობ. დღეს მე ჩავვარდი ამ მდგომარეობაში, ხვალ სხვას დააქცევენ, პასუხს კი არაფერზე აგებენ. სწორედ უპასუხისმგებლობა დაღუპავს ქვეყანას", - გვითხრა საკუთარ სახლში ჩაკეტილმა ჯუმბერ ქირიამ, რომელსაც პოლიციისგან დაშინებული თანასოფლელები თანადგომას უცხადებენ და მათ წინააღმდეგ საპროტესტო ხელმოწერებს აგროვებენ.

ეკონომიკა

სემეკისა და „თელასის„ დავა სტოკჰოლმში დასრულდება

"ეი-ი-ეს თელასი" სამომხმარებლო ხელშეკრულების გაფორმებაზე უარს აცხადებს

სოფიკო ოხანაშვილი

ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია (სემეკი) და "ეი-ი-ეს თელასი" თბილისის ელექტროენერგიით უწყვეტი მომარაგების საკითხზე კვლავ ვერ თანხმდებიან. ამ საკითხის გადაწყვეტის გარეშე კი "ეი-ი-ეს თელასი", თავის მხრივ, თავის აბონენტებს სამომხმარებლო ხელშეკრულებებს არ უფორმებს. არადა, სემეკის გადაწყვეტილებით, "ეი-ი-ეს თელასმა" ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი 2002 წლის ბოლომდე უნდა დაასრულოს.

სემეკმა და "ეი-ი-ეს თელასმა" კვლავ ვერ გამონახეს საერთო ენა კომისიის მიერ დამტკიცებული "ელექტროენერგიის მიწოდების, მომსახურებისა და მოხმარების პირობების" პირველ პუნქტთან დაკავშირებით. ჯერჯერობით, არც ერთი მხარე არ აპირებს პოზიციის შეცვლას. სემეკი კვლავ კატეგორიულად მოითხოვს სამომხმარებლო ხელშეკრულებაში დედაქალაქის უწყვეტი ელექტრომომარაგების მოთხოვნის დატოვებას, ამერიკული კომპანია კი ამ მუხლის ასეთი რედაქციით დატოვებას არალოგიკურს უწოდებს. "ეი-ი-ეს თელასი" აპროტესტებს იმ მუხლს, რომელიც კომპანიას დედაქალაქის ელექტროენერგიის უწყვეტ მომარაგებაზე პასუხისმგებლობას აკისრებს. "ეი-ი-ეს თელასი" უწყვეტ ელექტრომომარაგებაზე პასუხისმგებლობის მთლიანად საკუთარ თავზე აღებას შეუძლებლად მიიჩნევს და ითხოვს, რომ პასუხისმგებლობა იმ კომპანიებზეც გადანაწილდეს, რომლებიც მას ელექტროენერგიას აწვდიან. სემეკის გადაწყვეტილებით, "ეი-ი-ეს თელასისა" და აღნიშნული კომპანიების პასუხისმგებლობა დედაქალაქის უწყვეტი ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხში 2002 წლის 31 დეკემბრამდე გაიმიჯნება.

ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დავალებით, "ეი-ი-ეს თელასმა" ყველა კატეგორიის მომხმარებელთან სამომხმარებლო ხელშეკრულებების გაფორმება არა უგვიანეს 2002 წლის 31 დეკემბერს უნდა დაასრულოს. სემეკის მიერ დამტკიცებული "ელექტროენერგიის მიწოდების, მომსახურებისა და მოხმარების პირობების" თანახმად, სამომხმარებლო ხელშეკრულებები "ეი-ი-ეს თელასს" ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში უნდა გაეფორმებინა. მაგრამ, როგორც სემეკში აღნიშნავენ, "ეი-ი-ეს თელასმა" ამ ვალდებულების შესრულება ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოახერხა.

სემეკში დარწმუნებულები არიან, რომ წლის ბოლომდე "ეი-ი-ეს თელასი" სამომხმარებლო ხელშეკრულებებს გააფორმებს. დადგენილების შეუსრულებლობის საფუძველს ამჯერად მარეგულირებელ კომისიაში ვერ ხედავენ. **"ეს ხელშეკრულებები რომ არ დაიდოს, ამის არანაირი საფუძველი არ არსებობს. ეს პროცესი მაშინ დაიწყება, როცა ტარიფი გაიზრდება. ჩვენ ვერ ვხედავთ ხელის შემშლელ პირობას, რის გამოც "ეი-ი-ეს თელასი" ამას არ შეასრულებს. თუ ასე მოხდა, ეს ჩვენთვის ძალიან გაუგებარი იქნება, იმიტომ, რომ ჩვენ ყველანაირი პირობა შევუქმენით "თელასს" მომხმარებელთან ურთიერთობის საკითხში. სემეკშიც და "ეი-ი-ეს თელასშიც" თითქმის ყველანი დარწმუნებულები ვართ, რომ ეს ხელშეკრულებები აუცილებლად გაფორმდება",** - განაცხადა სემეკის წევრმა პაატა ცინცაძემ.

პაატა ცინცაძის ოპტიმიზმს არ იზიარებენ "ეი-ი-ეს თელასში". ამერიკული კომპანიის ლობისტი ეჭვქვეშ აყენებს წლის ბოლომდე სამომხმარებლო ხელშეკრულებების გაფორმების საკითხს. ამის მიზეზად კი სადაო მუხლთან დაკავშირებით სემეკის არსებულ პოზიციას ასახელებს. **"ეს მუხლი ეწინააღმდეგება "ეი-ი-ეს თელასსა" და სახელმწიფოს შორის დადებულ ჩარჩო-ხელშეკრულებას, ამიტომ "თელასი" ამ ვალდებულებას თავის თავზე ვერანაირად ვერ აიღებს. უფრო მეტიც, იგი ეწინააღმდეგება ლოგიკას, ეწინააღმდეგება მსოფლიოში მიღებულ პრაქტიკას. "ეი-ი-ეს თელასი" არის გამანაწილებელი კომპანია და ამ მუხლის არსებული რედაქციით დატოვება გულისხმობს, რომ "თელასმა" პასუხისმგებლობა უნდა აიღოს დედაქალაქის ელექტროენერგიით მომარაგებაზე, რასაც, ბუნებრივია, ვერ შეძლებს. ძალიან ეჭვი მეპარება, რომ წლის ბოლომდე "თელასმა" მოახერხოს სამომხმარებლო ხელშეკრულებების გაფორმება. ამ მუხლთან დაკავშირებით სემეკის არსებული პოზიცია ამის საშუალებას არ იძლევა, ხოლო თუ სემეკი შეიცვლის პოზიციას, მაშინ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგარამ ეჭვი მეპარება, რომ ასე მოხდეს",** - განაცხადა ირაკლი მელაშვილმა.

"თელასი" თუ არ გააფორმებს ხელშეკრულებებს, მაშინ მიზეზი უნდა არსებობდეს. ცოტა მიჭირს თქმა, რა მიზეზით არ უნდა გააფორმოს ხელშეკრულებები. თუ ასე მოხდება, მაშინ, ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვიძლია, გამოვიყენოთ კანონით მონიჭებული უფლება იმავე ლიცენზიასთან, იმავე ტარიფთან დაკავშირებით, დავაკისროთ ჯარიმა", - აღნიშნა პაატა ცინცაძემ.

ასეთ შემთხვევაში არც "ეი-ი-ეს თელასი" აპირებს გულხელდაკრეფით ჯდომას. თუ საჭირო გახდა, თავისი უფლებების დასაცავად ის სასამართლოს მიმართავს. **"თუ სემეკი თავის ძალაუფლებას გამოიყენებს, ჩვენც გამოვიყენებთ ჩვენს უფლებას და სტოკჰოლმის არბიტრაჟს მივმართავთ. მერე ვნახავთ, რა ვალიც დაეკისრება სახელმწიფოს. სამწუხაროდ, ეს არც ელიზბარ ერისთავისა და არც პაატა ცინცაძის ჯიბეებიდან არ დაიფარება. ეს უკვე სხვისი პრობლემა იქნება",** - განაცხადა ირაკლი მელაშვილი.

"ეი-ი-ეს თელასის" მთავარი მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ "გარკვევით ჩაიწეროს": **"ეი-ი-ეს თელასი" იღებს პასუხისმგებლობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას არ მიაწვდიან ელექტროენერგიას." ეს პუნქტი თავიდან ბოლომდე დევს "ეი-ი-ეს თელასსა" და სახელმწიფოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რასაც ელიზბარ ერისთავმა მოაწერა ხელი"**, - განმარტავს ირაკლი მელაშვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკული კომპანია სასამართლოს მიმართავს.

მოსკოვს ბომბების არ სჯერა

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

რუსი პოლიტიკოსების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ პანკისში ქართული საჯარისო ფორმირებების შესვლა და ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყება ერთი და იგივე არ არის. შეიძლება, ეს მხოლოდ ძალის დემონსტრირება იყოს და მეტი არაფერი, - ამბობენ ისინი.

რუსეთის სტრატეგიული კვლევების ცენტრის დირექტორის ოზნობიშჩევის აზრით, **"პანკისში საქართველოს მხრიდან გამოცხადებული ანტიკრიმინალური ოპერაცია პროპაგანდისტული აქციაა, ილუზიაა, ვითომდა ქართველები მოჯაჰედებს ებრძვიან. სინამდვილეში ქართული არმიის გადაადგილება კოსმეტიკური აქტია, რაც რუსეთისათვის, შეიძლება, ცუდად დასრულდეს".**

მოსკოველი პოლიტიკოსები უცნაურს ვერაფერს ხედავენ რუსეთიდან საქართველოს ელჩის გაწვევის დიპლომატიურ ჟესტში.

"ჩილეს შემთხვევაში, რუსეთმაც იგივე გააკეთა და ამას დროებითი ხასიათი ჰქონდა", - ამბობს რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერი ვლადიმირ ლუკინი, რომელიც, ასევე, ამტკიცებს, რომ, აშშ-ს, ორმაგი სტანდარტების გამოყენების ნაცვლად, საქართველოს საკითხში ანტიტერორისტული კოალიციის წევრებთან შეთანხმება მართებდა. **"აშშ საქართველოს სიტუაციას საკუთარი ინტერესების შესაბამისად იყენებს, მაშინ, როცა, იუგოსლავიის შემთხვევაში, ამ ქვეყნის სუვერენიტეტი მას, რატომღაც, არ გახსენებია,"** - დასძენს ვლადიმირ ლუკინი.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეშფოთებით შეხვდნენ მოთხოვნას მოსკოვიდან საქართველოს ელჩის გაწვევის თაობაზე.

"24 საათთან" საუბარში სამინისტროს ერთ-ერთმა დიპლომატმა განმარტა, რომ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების გართულებისას ელჩის გაწვევა ჩვეულებრივი დიპლომატიური პროცედურაა და ამაში არაორდინარული არაფერია, ეს სულაც არ მოასწავებს ამ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტას. **"მაგრამ, თუ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და პანკისის პრობლემებს გავითვალისწინებთ, საქართველოს პოლიტიკურ ელიტას მეტი დაფიქრება მართებს, რადგანაც, მსგავსი დიპლომატიური გართულების ფონზე, ორ ქვეყანას შორის ახალ ჩარჩოხელშეკრულებაზე მუშაობა დიდი ხნით შეფერხდება,"** - აცხადებს დიპლომატი.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერმა ვლადიმირ ლუკინმა, რადიო "ეხო მოსკვის" ღია ეთერში განაცხადა, რომ **"ბოლო სამი წელია, ჩეჩენი სეპარატისტების სტრატეგია ჩეჩნეთში სამხედრო მოქმედებების გაჭიანურებისკენაა მიმართული. მათ სულის მოსათქმელად, საქართველოს სახით, თავისუფალი ზონა სჭირდებათ. საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობა მაშინ გართულდა, როცა საქართველომ თვალი დახუჭა ასეთი ზონის შექმნაზე. ამიტომ, ჩემთვის ქართული მხარის განცხადებები ქვეყნის ტერიტორიების დაბომბვის თაობაზე არ არის საკმარისი და დამაჯერებელი, რადგანაც სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს უმაღლესი სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა მიმტკიცებდა, რომ პანკისში ბოევიკები არ არიან."** ვიცე-სპიკერი საჯაროდ აცხადებს, რომ პირადად მას არ სჯერა საქართველოს სოფლების რუსული ავიაციის მიერ დაბომბვა და ამ ფაქტს სიმულაციას არქმევს.

"რუსეთის თვითმფრინავებს საქართველოს თავზე არ უფრენიათ, - აცხადებს ლუკინი, - **მაგრამ იქ, სადაც ურთიერთობები უკიდურესად დაძაბულია, თვითმფრინავებიც ჩნდებიან და შემთხვევითი ადამიანებიც".**

ერთი საათი პანკისის ხეობაში

პირველი გვერდიდან

ძალოვანები ოპერაციის მსვლელობით კმაყოფილნი არიან

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

დღის 12 საათისათვის ახმეტის გამგეობასთან ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელების კორტეჟი გამოჩნდა. შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრებმა სახელდახელო ბრიფინგი გამართეს, შსს მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის ინფორმაციით, სპეცოპერაციის პირველმა ღამემ საკმაოდ მშვიდად ჩაიარა. დაყენებულია ბლოკპოსტები გაძლიერებული დაცვით. ამონტაჟებენ კავშირგაბმულობის სისტემებს, ჩეჩენ მებრძოლთა, ან კრიმინალურ დაჯგუფებათა გადაადგილება არ მომხდარა.

მინისტრი ჟურნალისტებს დღის მეორე ნახევარში პანკისის ხეობაში შეყვანას შეგვპირდა.

ხანმოკლე ბრიფინგი დასრულდა და მინისტრების კორტეჟი გზას გაუდგა.

დროის უქმად კარგვას უქმად შრომა ვარჩიეთ და ახმეტის ცენტრში განლაგებული შინაგანი ჯარების შტაბს მივაშურეთ. იქ თავაზიანად აგვიხსნეს, რომ შტაბის სარდლობა თათბირზე იყო წასული. მანამდე კი ვერაფრით დაგვეხმარებოდნენ და მათ მოსვლამდე ტერიტორიის დატოვება მოგვთხოვეს.

ცნობისმოყვარეობამ არ მოგვასვენა და დამოუკიდებლად გავეშურეთ პანკისის ხეობისკენ, თუმცა, ამასაც არანაირი შედეგი არ მოჰყოლია და სოფელ მატანის ბოლოს განლაგებული ბლოკპოსტიდან ისევ თავაზიანად გამოგვაბრუნეს.

ჩვენ უკან დავბრუნდით და სრულიად შემთხვევით პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარეს და მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეს, სულეიმან გუმაშვილს შევხვდით, რომელიც დაღლილი ჩანდა, მაგრამ ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა. ბატონი სულეიმანის ინფორმაციით, პანკისის მოსახლეობა დიდი იმედითა და სიხარულით შეხვდა ხეობაში ქართული სამხედრო დანაყოფების შესვლას. მისი თქმით, 14 აგვისტოს სოფელ დუისის სკოლაში ხეობის უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელსაც 200 კაცამდე ესწრებოდა. შეკრებას ესწრებოდნენ ახმეტის რაიონის გამგებელი ნუკრი ალავიძე და კახეთის გუბერნატორის მოადგილე და სულეიმან გუმაშვილის ძმა ზაურ გუმაშვილი. ყრილობის მოთხოვნა ერთი იყო - ხეობაში ქართული ჯარის შემოსვლა, რაც რუსეთის მიერ პანკისის ხეობის დაბომბვის შემდეგ განხორციელდა კიდეც. **"პანკისის ხეობაში რუსლან გელაევის რაზმი არ იმყოფება. ხეობაში ამჟამად 3000-მდე ჩეჩენი და ქისტი ლტოლვილია. ჩეჩნებსა და ქართველებს შორის შეტაკება არ მომხდარა. ჩეჩნები, თვით ბოევიკებიც კი, საქართველოსა და ქართველებზე არიან დამოკიდებული და ჩვენთან მეგობრობის გარდა არაფერი უნდათ. ჩეჩენი ქართველს არ ესვრის. ჩეჩნეთში უკვე დიდი ბრძოლა დაიწყო. აქ მყოფი ჩეჩნები, შესაძლოა, იმათ შეუერთდნენ. რაც შეეხება კრიმინალებს, ისინი ხეობაში კანტი-კუნტად არიან დარჩენილი. მათი რაოდენობა საგრძნობლად შეთხელებულია, თუმცა, მათ შორის არიან ჩეჩნებიც. მათ ხეობაში შესყიდული აქვთ სახლები და მიწის ნაკვეთები და სწორედ ისინი არიან გარეული ნარკობიზნესსა და ადამიანთა გატაცებაში. ეს კრიმინალები ბერეზოვსკისთან არიან დაკავშირებული.**

არ გამოვრიცხავ, რომ მათი ვინაობა და მოქმედებები ცნობილი იყო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სტრუქტურებისთვის. ამიტომაც მოითხოვა ხალხმა ხეობაში ჯარის და არა პოლიციის შემოსვლა. მე და მთელი მოსახლეობა მივესალმებით ქართული შინაგანი ჯარის შემოსვლას პანკისში და მხურვალედ ვუჭერთ მათ მხარს. ჩვენ მათი დიდი იმედი გვაქვს," - განაცხადა საუბრის ბოლოს პანკისის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარემ.

ერთი საათი ხეობაში

დაახლოებით, დღის 5 საათისთვის ახმეტაში შსს-ს პრესსამსახურის უფროსი პაატა გომელაური ჩამოვიდა

და როგორც იქნა, პანკისის ხეობისკენ დავიძარით. აშკარა იყო - ხეობა ქართული ქვედანაყოფების მიერ მართლაც საგულდაგულოდ იყო გამაგრებული. მოწმდებოდა თითოეული მანქანა. აღრიცხავდნენ თითოეულ შემსვლელსა და გამსვლელს. არკვევდნენ - ვინ, ვისთან და რატომ მიდიოდა. პირველი ბლოკპოსტის გავლის შემდეგ, პაატა გომელაურის მეთვალყურეობის მიუხედავად, მეორე საგუშაგოზე დაახლოებით ათი წუთით დაგვაყოვნეს. გაგვიშვეს მხოლოდ მაშინ, როცა უშუალო ხელმძღვანელობისგან მიიღეს ნებართვა. ჟურნალისტთა ჯგუფი სოფელ დუისის იქით აღარ შეგვიშვეს. აკრძალული იყო გარკვეული მონაკვეთების ფოტო და ვიდეო გადაღებაც.

ადამიანები

ახიადი, 62 წლის, ქისტი (გაჭირვებას თავისი უქნია და გაცილებით ხნიერი შეხედულება აქვს): **"მე აქ დავიბადე და გავიზარდე. მერე გროზნოში გადავედი საცხოვრებლად. სახლიც მქონდა და კარიც, არაფერი შემრჩა. მეუღლე დამეღუპა, შვილები ნაზრანში დამკვიდრდნენ. რაც მეცვა, იმითი წამოვედი. აქ კი ძალიან მიჭირს, მაგრამ მაინც ცოცხალი ვარ** (თავისი წარსულის, მეუღლისა და შვილების გახსენებაზე თვალები ცრემლით ევსება. აკანკალებული ხელით "ასტრის" ბოლო ღერს უკიდებს). **ამათი შემოსვლა გამეხარდა. ყველა ბანდიტი და მკვლელი უნდა განადგურდეს. სისხლი გაგვიშრეს. ჩემი შვილიც რომ იყოს, არ დავინდობ, არ მენანება. ღია ცის ქვეშ რომ არ დავრჩენილიყავი, ალაზნის პირზე ქოხი ჩავდგი, რომელიც წვიმის დროს წყლით ივსება და ისევ გარეთ გამოვდივარ. აქ, სახერხში დარაჯად ვმუშაობ, 30 ლარი გექნებაო, მითხრეს და 10 თვე არაფერი მოუციათ. დები ცხოვრობენ ხეობაში, ოჯახები და სახლ-კარი აქვთ, მაგრამ სიძის ოჯახში მისვლა ჩვენი წესი არ არის. ისევ ასე მირჩევნია სიკვდილი. ეს ჯარისკაცები კარგი ბიჭები ჩანან, მაგათი იმედი მაქვს."**

საუბარში 61 წლის ქისტი ახმადი გვერთვება, გაჭირვებას მისთვისაც მძიმე დაღი დაუჩნევია. **"იმედი მომეცა. ქვეყანა რომ დაწყნარდება, იქნებ ჩვენც მოგვხედონ,"** - ამბობს ახმადი. კითხვაზე, აქვთ თუ არა ურთიერთობა ვაჰაბიტებთან, ორივე მოხუცმა ხელები გაასავსავა: **"ჩვენ მორწმუნე მუსულმანები ვართ, ფული კი არა, ოქროს მთები რომ დაედგათ, არც დაველაპარაკებოდით, მაგათი არაფერი გვინდა. ახალგაზრდებს ურევენ თავგზას, მაგრამ არაფერი გამოუვათ."**

ამ დროს გზაზე შავ ტანსაცმელში გამოწყობილმა, თავგადაპარსულმა და წვერიანმა ახალგაზრდამ გამოიარა. მოხუცებმა მანიშნეს - ვაჰაბიტიაო, თან დასძინეს, რომ არაფერს მეტყოდა და მასთან მისვლას აზრი არ ჰქონდა. ცნობისმოყვარეობამ მძლია და გამოვესაუბრე, ახლოს არ მოვიდა, პრესის ხსენებაზე ხელი ჩაიქნია და ისევ გზა გააგრძელა.

50 წლამდე ქისტი, რომელმაც ვინაობა არ გამიმხილა: **"ჩეჩენი ახმადოვის ბანდა ტყეში არის გახიზნული. მათ ადგილობრივი პოლიცია მფარველობდა. ახმადოვი ხალხს იტაცებდა და ნარკობიზნესშიც მონაწილეობდა. ამათ ყველაფერი იცოდნენ."**

6 საათისთვის პანკისის ხეობაში ჩვენი ხანმოკლე ვოიაჟი დასრულდა. გამაგრებული ბლოკ-პოსტები, პოზიციაზე მზადყოფნაში მდგარი ტანკები და საზენიტო დანადგარები გარკვეულ იმედს მაინც ტოვებენ. მოსახლეობაც კმაყოფილია და ჯარისკაცებიც ხალისიანად გამოიყურებიან.

პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური ოპერაცია დაწყებულია. თუ როგორ და რით დასრულდება, ამას დრო გვიჩვენებს.

თვალსაზრისი

პანკისის ხეობიდან მომდინარე სამი საფრთხე

პირველი გვერდიდან

ასეთი ფართომასშტაბიანი ოპერაციებისადმი. ამიტომაც პანკისში დისლოცირებულ დანაყოფებში დისციპლინას, კოორდინაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. აფხაზეთის ომის შემდეგ, ქართული შეიარაღებული ძალებისათვის ეს პირველი სერიოზული გამოცდა იქნება და მის წარმატებით დასრულებას არმიის ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

სამხედრო აქციებს თან უნდა სდევდეს გააზრებული პროპაგანდა. ჩვენ ერთხელ მოვახერხეთ და ჩრდილო კავკასიელები ჩვენს წინააღმდეგ ავამხედრეთ. ახლაც იგივეს გამეორება გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა, მით უფრო, რომ დღეს ჩვენ ჩეჩნებთან მიმართებაში, როგორც ადამიანურად, ისე პოლიტიკურად, აბსოლუტურად მართლები ვართ. ამ უპირატესობას კი გამოყენება სჭირდება, რადგანაც ჩვენი მოწინააღმდეგეები, უწინარესად, სწორედ ამ კოზირის გაუვნებელყოფაზე იმუშავებენ. მათ ინტერესებში შედის, რომ პანკისის ხეობაში მყოფი ქართულ შენაერთების მთავარ მოწინააღმდეგედ ადგილობრივი მოსახლეობა იქცეს, რასაც თან უნდა სდევდეს თვითონ ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის დაპირისპირება. უკვე გაჩნდა იმის ნიშნები, რომ ქართულ სოფლებში ჩეჩნებს ადანაშაულებენ რუსულ დაბომბვებში. სწორედ ახლაა საჭირო იმის ახსნა, რომ რუსეთი საქართველოს ბომბავს არა იმიტომ, რომ პანკისში ბოევიკები არიან (რომლებიც თავის დროზე იქ თვითონ რუსეთის ხელშეწყობით აღმოჩნდნენ), არამედ იმ საგარეო პოლიტიკური კურსის გამო, რომელიც საქართველომ აირჩია. თუმცა, იმის ახსნა, თუ რატომ იქცა წლების განმავლობაში ეს ხეობა კრიმინალებისთვის და ძალოვანებისათვის შემოსავლის სარფიან წყაროდ, ხელისუფლებას აშკარად გაუჭირდება.

მეორე: არსებობს სერიოზული საშიშროება, რომ, პანკისის პარალელურად, მდგომარეობა გამწვავდეს სხვა მიმართულებებითაც. ამ მხრივ უპირველესი საფრთხე მოდის აფხაზეთიდან. ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ახლა, კვლავ განახლდა აქცია ენგურის ხიდთან; აქა-იქ უკვე გაისმის ხმები პარტიზანული ბრძოლის ხელახალი ძალით გაჩაღების თაობაზე. შემთხვევითი არ არის არც კოდორში აფხაზების გამოჩენა. სიტუაცია მარტივად არც ცხინვალის რეგიონშია. ამიტომაც დაძაბულობის დამატებითი კერების გაჩენა მოულოდნელი არ იქნება, რაც ხელისუფლებას პრობლემებს გაუორმაგებს. შეზღუდული რესურსების პირობებში, მისთვის კიდევ უფრო ძნელი და თითქმის შეუძლებელი იქნება ყველა პრობლემასთან ერთად გამკლავება, რადგანაც ასეთი კამპანიები დიდ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს. თუ ხელისუფლება მაინც გარისკავს ფინანსური ნაკადების სამხედრო ოპერაციებზე მიმართვას, პრობლემები უკვე შიდა ფრონტზე იჩენს თავს.

მესამე საფრთხე თვითონ ხელისუფლების შიგნით არსებობს. უახლოესი წლების გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ხელისუფლება ვერც ერთხელ ვერ გაექცა ცდუნებას, მსგავსი სიტუაციები თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინა. ახლაც არ არის გამორიცხული, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში წარმოქმნილი უკმაყოფილების კონტრლონისძიებად, ხელისუფლებამ დაპირისპირების კიდევ უფრო გაღრმავება გამოიყენოს. კონფლიქტის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების მცდელობა, დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, ალბათ, სრული კრახით დასრულდება. ცალკე საკითხია, თუ როგორი იქნება მიმდინარე მოვლენებზე პოლიტიკური სპექტრის რეაქცია. პირველი კომენტარები ადასტურებს, რომ პოლიტიკური ძალები საწყის ეტაპზე თავშეკავებულობას ამჯობინებენ. მათი ძირითადი სამიზნე, ჯერჯერობით, რუსეთია. მაგრამ აბსოლუტურად ცხადია, რომ წაფორხილების შემთხვევაში ხელისუფლება მზად უნდა იყოს უმწვავესი შეტევისათვის, თანაც - ყველა მხრიდან.

ზემოთ ჩამოთვლილი სამი საფრთხე მხოლოდ ნაწილია მოსალოდნელი საშიშროებისა. მათი დაძლევა აუცილებელია, თუმცა, არასაკმარისი პირობაა იმისთვის, რომ მოვლენების კატასტროფული განვითარება თავიდან ავიცილოთ.

რელიგიური ძალადობის შეჩერების გზების ძიება

პირველი გვერდიდან

საქართველოში ბოლო სამი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა თავდასხმები სხვადასხვა რელიგიურ უმცირესობებსა და მათ ქართველ მიმდევრებზე.

არამართლმადიდებლური რელიგიური ჯგუფები შეურაცხყოფისა და, ხშირად, სასტიკი თავდასხმის ობიექტები ხდებიან. მშვიდობიან მოქალაქეებს ჯოხით სცემენ და იყო შემთხვევაც, როცა მოქალაქე თმებით ათრიეს. ამასთან, განსაკუთრებულ სამიზნედ იეღოვას მოწმენი არიან შერჩეული. ორმოცდაათიანელები, ბაპტისტები და იეღოვას მოწმენი განიცდიან თავდასხმებს რელიგიური რიტუალების შესრულების დროს, ხოლო მათ ლიტერატურას, მათ შორის ბიბლიასაც, ხშირად წვავენ. ამ თავდასხმების შედეგად დაშავდა უამრავი ადამიანი, მაგრამ, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა. თავდასხმების უკან მდგომი პროვოკატორები ცნობილია და მათი სისასტიკის ფაქტები დაფიქსირებულია საქართველოს ტელევიზიით. მიუხედავად ამისა, ბოროტმოქმედნი ვერ დააკავეს. ამის შედეგად, დაუსჯელი ძალადობა გრძელდება და საქართველო ბრბოს მმართველობის საშიშროების წინაშე დგას.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ამ თავდასხმათა ორგანიზატორების განაცხადი, რომ ისინი იცავენ საქართველოს მართლმადიდებლურ ქრისტიანობას. დარწმუნებული ვარ, ეკლესია ასეთ ძალადობასა და ფანატიზმს არასოდეს შეურიგდება, რადგან ასეთი ქმედება ქრისტეს სწავლებას ეწინააღმდეგება. მისმა უწმინდესობამ ილია II-მ, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარმა, რელიგიურ საფუძველზე მომხდარ ძალადობის ფაქტებს "ჩვენი ცხოვრების წესისა და ტრადიციისათვის უცხო" უწოდა. ასეთი კრიმინალური ქმედება მართლაც არ შეესაბამება ქართული ეკლესიის ძველ და გამორჩეულ ტრადიციას და ჩრდილს აყენებს საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციას.

მიუხედავად ამისა, ივლისის დასაწყისში, ორთვიანი შედარებითი სიმშვიდის შემდეგ, საქართველოში დაიწყო ორმოცდაათიანელების, კათოლიკებისა და იეღოვას მოწმეთა, პოლიტიკურ-ანალიტიკური ჯგუფის, თავისუფლების ინსტიტუტის დარბევა. სამწუხაროდ, ხელისუფლება განაგრძობს თავისი გულგრილობის, ან უუნარობის დემონსტრირებას.

15 აგვისტოს კასპში ჩადენილი ძალადობა წინა ინციდენტებს ჰგავდა. მშვიდობიანი თავშეყრის ადგილის გადაწვას და კერძო საცხოვრებელი სახლის დარბევას წინ უსწრებდა იეღოვას მოწმეთა წინააღმდეგ ქართველ პოლიტიკოსთა წამქეზებლური განცხადებები, რომლებიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც მოწოდება ძალადობისაკენ. მიუხედავად ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციებისა და აშშ-ს საელჩოს მიმართვისა, საქართველოს ხელისუფლებამ არ შეაჩერა ეს მორიგი თავდასხმა რელიგიურ უმცირესობაზე. მოველით, რომ საქართველოს მთავრობა ჩაატარებს სრულ და გამჭვირვალე გამოძიებას და დროულად წარადგენს სამსჯავროს წინაშე ამ და სხვა თავდასხმებში დამნაშავეებს, რითაც ბოლოს მოუღებს რელიგიური ძალადობის ტალღას.

კონგრესის 14 წევრთან ერთად, მე წერილით მივმართე პრეზიდენტ შევარდნაძეს და ვთხოვე კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა რელიგიური ძალადობის აღსაკვეთად. ელჩმა მაილსმაც არაერთხელ წამოჭრა ეს საკითხი პრეზიდენტისა და ხელისუფლების სხვადასხვა დონის წარმომადგენლების წინაშე. მიუხედავად დადებითი პასუხებისა, დაუსრულებელი ძალადობა ცხადყოფს, რომ ხელისუფლებამ უფრო ეფექტური ზომები უნდა მიიღოს ყოველი ქართველის დასაცავად, განურჩევლად რწმენისა. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვით, იქნება ეს რელიგიური პროპაგანდა თუ პროზელიტიზმი, საქართველო არღვევს საერთაშორისო ვალდებულებებს. მე მოვუწოდებ ქართველ კანონმდებლებს, არ მიიღონ კანონპროექტი და მოვუწოდებ ყველა ქართველს, შემწყნარებელნი იყვნენ თანამოქალაქეების მიმართ, მათ მიმართაც, ვინც არ მისდევს ტრადიციულ აღმსარებლობას.

ზოგიერთის აზრით, რელიგიის შესახებ კანონი ბოლოს მოუღებს ძალადობას. მე კი ვთვლი, რომ რელიგიური ორგანიზაციების მკაცრი კონტროლი ძალადობის აღკვეთის გარანტია არ არის. მიმაჩნია, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ყველაზე უფრო ეფექტური საშუალებაა სისხლის სამართლის დანაშაულის წინააღმდეგ და არ არის საჭირო სპეციალური კანონის შემუშავება რელიგიის შესახებ.

სწორად გამიგეთ, მე დიდი პატივისცემით ვარ განმსჭვალული საქართველოს, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და ქართველი ხალხის მიმართ. როგორც ა.შ.შ.-ს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კომისიის თანათავმჯდომარე, მე დიდად ვაფასებ ქართველი ერის საუკუნოვან ისტორიას, კულტურასა და მის უნარს ახალი სირთულეების დაძლევისა ოთხმოცწლიანი საბჭოთა წყობის დასრულების შემდეგ.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არაერთხელ გამოხატა თავისი მხარდაჭერა საქართველოსადმი, მისი დემოკრატიულ ქვეყნად გარდაქმნის პროცესში და აღმოუჩინა დახმარება საკმაოდ მნიშვნელოვანი ფულადი რესურსებისა და გამოცდლების გაზიარების გზით.ამ ქვეყანაში რელიგიის თავისუფლების ზრდა დემოკრატიულ სახელმწიფოდ წარმატებულად გარდაქმნის ერთ-ერთი ნაწილია. მე თხოვნით მივმართავ პრეზიდენტ შევარდნაძეს, საქართველოს მთავრობასა და ხალხს, წინ აღუდგეს და ბოლო მოუღოს ძალადობასა და თანამოქალაქეთა შეურაცხყოფას. ჩვენ გვსურს, დავეხმაროთ ისეთი საქართველოს შენებას, რომელშიც ყოველ ადამიანს, უსაფრთხო და მშვიდობიანი ცხოვრებისა და აღმსარებლობის საშუალება ექნება.

www.24hours.ge 24 B

მოდი, გავფრინდეთ!

რამდენიმე სიტყვა მფრინავებისა და ფრენის შესახებ

ცოტნე ჯავახიშვილი

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ანა კორძაია-სამადაშვილი

მთელი თავისი არსებობის განმავლობაში კაცობრიობა ფრენაზე ოცნებობდა და დაფრინავდა კიდეც: აღმოსავლეთში - ხალიჩებით, დასავლეთში - ცოცხზე თუ არცთუ სიმპატიურ ცხოველებზე შემომჯდარი. ბოლოს, თვითმფრინავი გამოიგონა. ისე, ხალიჩიდან ბაღდადი კარგი სანახავი იქნებოდა...

უწონადობა, თავისუფლების საოცარი განცდა პირადად ჩემთვის მხოლოდ სიზმარში არსებობს. ცხადში ყველაფერი უფრო ხანმოკლე და პროზაულია: მოვქრივარ, თოვლი ბრჭყვიალებს, ყველაფერი მშვენიერია, ჰოდა, შიში, საბრალო მოკვდავის მუდმივი თანამგზავრი, აუცილებლად წამოყოფს თავს: დაასკდები, ჩიტო, და თავს გაიხეთქავ! მორჩა.

პირადად ჩემთვის თვითმფრინავსაც არაფერი აქვს საერთო ფრენასთან: ისევ ისე ვზივარ, როგორც ყოველთვის, ოღონდ, ცოტა უფრო უიმედოდ, შეიძლება ყურებიც მეტკინოს, გვერდით საავარძელში მჯდომი ძია საეჭვოდ იშმუშნება, აშკარად, ფრენამ აწყინა, მოკლედ, ბევრი ვერაფერი სიამოვნებაა. თან, მე არ მივფრინავ, მიფრინავს მანქანა, რატომ – მაინც ვერ გავიგე, და, თუ ღმერთი გაწყრა, გამცილებლისთვის პასპორტის ჩაბარების გარდა ვერაფერს ვიზამ.

ალბათ, ეს ამბავი ბევრს სჭირს, მე არა ვარ ერთადერთი და განსაკუთრებული. გამონაკლისს მფრინავები წარმოადგენენ.

როგორც მფრინავმა და ინსტრუქტორმა ცოტნე ჯავახიშვილმა ამიხსნა, ქალებსაც მშვენივრად შეუძლიათ ამ საქმის სწავლა, მისი მოსწავლეებიდან ყველაზე ყოჩაღები სწორედ ქალები ყოფილან. სასიამოვნო მოსასმენი იყო, ერთი ისაა, რომ მე ეს ინფორმაცია არაფერს მრგებს: ქალები, რომლებსაც ცოტნე ფრენას ასწავლის, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფრინავენ.

ამ ქვეყანაში ფრენის უფლება ყოველ ადამიანს აქვს. თეორიულად არც ჩვენ გვიშლიან – გინდ იფრინე, გინდა გააფრინე... განსხვავება ისაა, რომ საშუალო სტატისტიკური ქართველი ამაზე იშვიათად ფიქრობს, არც კი ოცნებობს, არადა, რომ არ გვეოცნება, ხომ არც მფრინავი ხალიჩა იქცეოდა "ბოინგ-737"-ად!

ცოტნემ ფრენა 1995 წელს დაიწყო და დღეს უამრავ საინტერესო ამბავს ყვება. თავად ცოტნე, ქართველი, საქართველოს მოქალაქე და შესაბამისი პასპორტის მფლობელი, ჰიუსტონში, კომპანია "კონტინენტალის" საწვრთნელ სკოლაში 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ მივიდა, მაგრამ უნდობლობის მსგავსიც არავის არაფერი გამოუთქვამს. საწვრთნელ სკოლაში სწავლა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, სულ ტერორისტის ცხვირ-პირი რომც ჰქონდეს, თან ხომ კაცმა არ იცის, როგორი სახე აქვს ტერორისტს.

მთავარი მონდომებაა. მოსწავლეს შეუძლია თავად აირჩიოს, რა სახის თვითმფრინავით უნდა ფრენა და სათანადო წვრთნის გავლის შემდეგ გამოცდას აბარებს – მარტო მიფრინავს. და, რაც განსაკუთრებით საინტერესოდ მეჩვენა: მსურველს შეუძლია "ვიწრო სპეციალიზაცია" აირჩიოს: მაგალითად, მფრინავებს, რომელთა წყალობაც იყო 11 სექტემბერს დატრიალებული ამბები, აფრენისა და თვითმფრინავის დაჯდომის სწავლის სურვილი იმთავითვე არ გამოუთქვამთ - როგორც შემდეგ გაირკვა, საერთოდ არ სჭირდებოდათ.

ჩვენგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში საჰაერო სივრცე კლასიფიცირებულია. მალე, ალბათ საქართველოს ცის კლასიფიკაციაც მოხდება და საუკეთესო გამოცდილებასაც გსვიზიარებთ . სანამ ეს შესანიშნავი ამბავი მომხდარა – წესით, სულ ახლო მომავალში უნდა მოხდეს – ორიოდე სიტყვით გიამბობთ, როგორი ვითარებაა თავისუფალი ამერიკის თავისუფალ სივრცეში.

ის ექვს კლასად იყოფა. პირველი გახლავთ კლასი G, სადაც სარადარო სერვისი არ არსებობს. ის იწყება მიწის ან წყლის ზედაპირზე და მისი ზედა ზღვარი გადის 700, 1200 ან 14.500 ფუტის სიმაღლეზე – იმისდამიხედვით, თვითმფრინავი სად იმყოფება. აქ ხმას არავინ გაგცემთ, არავინ გაკონტროლებთ. ისე, თავად სიტყვა "კონტროლი" სულაც არ გულისხმობს, რომ ვინმე თვალყურს გადევნებთ და ცეცხლს გახსნის, რამე რომ იყოს – იფრინეთ, ვინ გიშლით, მაინცდამაინც პრეზიდენტის თვითმფრინავს ნუ გაეკიდებით, თორემ ისე, საჰაერო ტრეფიკის კონტროლი მხოლოდ თქვენს უსაფრთხოებას ემსახურება, რომ უადგილო ადგილას არ ამოყოთ თავი და ვინმეს არ შეასკდეთ, ეგაა და ეგ. თუმცა E კლასი კონტროლირებადია, თქვენი ნებაა, მოითხოვთ კონტროლს – სინამდვილეში, სამსახურს – თუ არა.

D, C, B არის საჰაერო სივრცე აეროპორტების გარშემო. ყველაზე დატვირთული B კლასია, მაგალითად, კენედის ან სიეტლის აეროპორტი. ცხადია, შესვლისას ნებართვა უნდა აიღოთ, კვლავ – საკუთარი უსაფრთხოებისათვის, არავინ გზღუდავთ ან გმართავთ, არამედ გემსახურებიან. დიდი ხნით ადრე გაფრთხილება არაა საჭირო, უბრალოდ, უნდა შეატყობინოთ, რომ მოდიხართ.

A კლასის სივრცე საერთოდ გამორიცხავს მომსახურებაზე უარის თქმას – აქ, 18.000 ფუტის სიმაღლეზე, ვიზუალური წესებით ფრენა აღარ ხდება და ის, ვინც გმართავთ, სინამდვილეში თქვენი თვალია.

იფრინეთ, რამდენიც გაგიხარდებათ და სადაც გაგიხარდებათ. შეგიძლიათ ათი წრე დაარტყათ თავისუფლების ქანდაკებას, თქვენ ხომ თავისუფალი ადამიანი ბრძანდებით. რადიოკავშირით რომ ახსნა დაიწყოთ, აქ რა გინდათ, და სახელი და გვარი და ლიცენზიის ნომერი გადასცეთ, ძალიან შეწუხდებიან, სულ არ სჭირდებათ ზედმეტი ინფორმაცია.

სრული თავისუფლება, ცხადია, მაინც არ არსებობს. საზღვრები მფრინავებსაც ეხება. საზღვარზე აეროპორტს უნდა შეატყობინოთ, როდის დაჯდებით და როდის აპირებთ გზის გაგრძელებას, თუ გაგვიანდებათ, ესეც უნდა შეატყობინოთ, იმიტომ რომ არაპუნქტუალობა უზრდელობაა. ცხადია, არსებობს ქვეყნები, სადაც გაფრენა სასურველი არაა: ჩრდილოეთი კორეა, ერაყი, ხანდახან კუბაც, მოკლედ, ძალიან მშვიდი ქვეყნები. წინათ ეს შეზღუდვა საბჭოთა კავშირსაც ეხებოდა, თუმცა, თავგადასვლების მოყვარულთა თვითმფრინავები არც ახლა აწუხებენ ქართულ ცას...

არადა, აფსუსია. გასაგებია, რომ ჩვენი სამშობლო პატარაა, მდიდარი ხალხი ცოტაა და სხვა და სხვა. მაგრამ ყველაფერი ხომ ოდესღაც დაიწყო და მერე განვითარდა, არც კონკისტადორები დაფრინავდნენ დიდი კანიონის თავზე. რატომღაც გვგონია, რომ აუცილებლად ყოფილ მოძმე რესპუბლიკებთან ერთად უნდა ვაკეთოთ ყველაფერი, მტრულად ვუყურებთ ყველას, ვინც გვიყვება, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის გარდა რაღაცა არსებობს და არაფრით ვიჯერებთ, რომ ფრენის სასწავლად ასი წელი სულ არაა საჭირო. "ისინი მაინც სხვანაირები არიან." რასაკვირველია, და დიდება ღმერთს.

ცხადია, ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენზე მდიდარია. მაგრამ თვითმფრინავი ყველა ამერიკელს ნამდვილად არა ჰყავს, ძირითადად, ქირაობენ. აეროპორტებს ღობეც კი არა აქვს შემორტყმული, ერთი გასაღებით მრავალი თვითმფრინავის გაღება შეიძლება და თუ მაინცდამაინც გატაცება მოგინდათ, დიდად არ გაგიჭირდებათ. არც ლიცენზიის ითხოვენ, ეს უფრო საადაზღვევო კომპანიების პრობლემაა – თუ ფრენის დიდი გამოცდილება არა გაქვთ, უფრო ძვირად დაგაზღვევენ. მას შემდეგ, რაც სექტემბერში ტერორისტებმა აშშ-ს ასეთი დარტყმა მიაყენეს, გაჩნდა აზრი, რომ სიმკაცრე უნდა გამოეჩინათ, მაგალითად, ღობე დაეყენებინათ. ამერიკელებმა ეს აზრი არ მოიწონეს, აბა, ეგ რაღა თავისუფლება გამოდის!? ამავე პრინციპით გაიხნა საჰაერო სივრცე 14 სექტემბერს – რაც იყო, იყო, ამის გამო ნამდვილად არ ღირს ფრენაზე უარის თქმა.

მოდი, ვიოცნებოთ – ადრე თუ გვიან ყველა ოცნება სრულდება. ჩვენი მთხრობელი ცოტნე ერთხელ რუს მფრინავთან ერთად გაფრენილა, რომელიც სამხედრო ყოფილა ავღანეთის ომის დროს. ეს კაცი მთელი ცხოვრება ოცნებობდა მოსკოვის თავზე ფრენაზე, თავდავიწყებით უყვარდა თავისი დედაქალაქი. ცოტნესთან ერთად მან ლოს-ანჟელესის თავზე იტრიალა და აღფრთოვანებული იყო, აგინებდა ყველას და ყველაფერს, ვინც ოდესღაც ხელი შეუშალა მის მოსკოვის თავზე ფრენას – ხომ შესაძლებელი ყოფილაო. ცოტნეს თქმით, მართლაც საოცარი განცდაა – ცაში მარტო არა ხარ, დიდი თვითმფრინავები ეშვება, ან ვინმე შენნაირი ჩაიფრენს თავისი "ჩეროკით"... ცაში ადგილი, მოგეხსენებათ, ბევრია.

იმდენად ბევრია, რომ ქართველებიც დავეტევით. ბევრი არაფერი მოგვეთხოვება – ვიოცნებოთ. თუ ძალიან გულმოდგინედ იოცნებებთ და 6000 ამერიკულ დოლარს იშოვნით – ნუ აღშფოთდები, მკითხველო, განა ეს ფული კაზინოში არავის დაუტოვებია? – მისწერეთ რომელიმე საწვრთნელ სკოლას, ვინ ხართ და რა გინდათ, მეტი არაფერია საჭირო. ისინი ვიზას გამოგიგზავნიან, მიგიღებენ, გავარჯიშებენ, დაგაკვალიანებენ და ყველაფერს იზამენ იმისთვის, რომ იფრინოთ. ამერიკის მთავრობის მიერ გაცემულ ლიცენზიას მიიღებთ, რომელიც მუდმივია, მოქმედების ვადა არ გასდის.

უნახავად უარის თქმა ნამდვილად არ ღირს. მისამართია www.sdfti.com. ნახეთ, იქნებ მოგეწონოთ. ამ საქმეს მხოლოდ სამიოდე თვე დასჭირდება: კალიფორნიაში კარგი ამინდია.

პირველად ბერნარ შოუს შემდეგ

ტომ სტოპარდის ცხრასაათიანი სათქმელი

თამარ ბაბუაძე

ფარდა იწევა და სასადილო მაგიდასთან მჯდომი რუსი სპექტაკლს ორად ორი სიტყვით ხსნის: "რის შესახებაც...". იქმნება შთაბეჭდილება, რომ სასადილო ოთახში შეკრებილნი ფარდის აწევამდეც საუბრობდნენ. ამის გაგრძელება მაყურებლის შოკს კიდევ უფრო ამძაფრებს – სპექტაკლი "უტოპიის ნაპირი" /Coast of Utopia/ ხომ ისედაც ცხრა საათს გრძელდება და მთელი ამ ხნის განმავლობაში მსახიობები შეუჩერებლად ლაპარაკობენ...

ტომ სტოპარდს ორიგინალობა სჩვევია. თუმცა, სამ განყოფილებიანი, ცხრასაათიანი პიესა ლონდონური პუბლიკისთვის უკვე მეტისმეტი აღმოჩნდა. "ბიბისის" ცნობით, გაოცების მიუხედავად, საზოგადოება არ დაშლილა. პრემიერაზე ლონდონის ნაციონალურ თეატრში ყველა ბილეთი გაიყიდა. სპექტაკლს ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო. ათასივემ გაუძლო ფარდის სამჯერ აწევას, სამ შესვენებას და სამ განყოფილებას. თეატრში გატარებული 12 საათის შემდეგ ლონდონელები დაღლილები ჩანდნენ, თუმცა ემოციურები და ბედნიერები – სპექტაკლით მიღებული შთაბეჭდილება დაუვიწყარი აღმოჩნდა...

"უტოპიის ნაპირი" ტრილოგიაა ("ვოიაჟი", "გემის დაღუპვა", "ხსნა"), რომლის თითოეული ნაწილიც აღწერს მე-19 საუკუნის რუსეთს და იმ რადიკალურ სოციო-პოლიტიკურ ცვლილებებს, რაც მთელ ევროპაში განხორციელდა. მაყურებლის წინაშე ცოცხლდება მარქსი, ბაკუნინი, ტურგენევი, ბელინსკი. თუმცა, პიესის ცენტრში მაინც ალექსანდრ გერცენი დგას. მოქმედება მოსკოვში, პეტერბურგში, პარიზში, ნიცასა და ლონდონში მიმდინარეობს. როგორც თავადაც მიხვდით, თემა რთულია, შესაბამისად, რთული გამოდგა პიესის სცენაზე გადატანა: სპექტაკლში 50-ზე მეტი მსახიობი დაკავდა, შეიქმნა 416 კოსტუმი, 96 პარიკი და მრავალი მიზანსცენა.

თავისთავად, საინტერესოა, როგორ მოახერხა წარმოშობით ჩეხმა ინგლისელმა სტოპარდმა რუსული ხასიათისა და მე-19 საუკუნის რუსული პრობლემატიკის ინგლისურ სცენაზე გადატანა (ეს კითხვა მაინც უნდა დაისვას, იმის მიუხედავად, რომ სტოპარდი დრამატურგიის ვირტუოზის ტიტულს ფლობს). თუმცა, სანამ "ნიუ იორკ ტაიმსის" რეცენზენტს ბენ ბრენტლის მოვუსმენდეთ, აი, რას ამბობს თავად პიესის ავტორი, რომელიც სხვათა შორის, "შეყვარებული შექსპირის" სცენარისთვის "ოსკარსა" და "ოქროს გლობუსსაც" ფლობს: "თავიდან ვფიქრობდი, რომ პროექტის განსახორციელებლად ორი პიესის დადგმა მაინც დამჭირდებოდა. თუმცა, მერე ვიფიქრე, არა უშავს, მოდი, გავრისკავ და გავბანკროტდები". თუმცა, სტოპარდი არ გაბანკროტებულა. რისკი ამ შემთხვევაშიც კეთილშობილი საქმე აღმოჩნდა და სპექტაკლმა წარმატება მოიტანა. ბენ ბრენტლი აღნიშნავს: "ცხრასაათიანი სპექტაკლი საინტერესო თემატიკის და შთამბეჭდავი სცენების ყოველგვარ საზღვარს სცდება. ასეთი რამ თეატრს ჯორჯ ბერნარ შოუს შემდეგ არ ახსოვს".

"შეყვარებული შექსპირის" სცენარის ავტორები მარკ ნორმანი და ტომ სტოპარდი ოსკარის 71-ე ცერემონიალზე გამარჯვებას აღნიშნავენ.

REUTERS

აღმოჩნდება, რომ პირველი ფრაზა – "რის შესახებაც..." დაუსრულებელი საუბრის დასაწყისია. სპექტაკლში იმდენს ლაპარაკობენ, რამდენი დიალოგიც შეიძლება ცხრა საათში ჩაატიო. გერცენის და მისი მეგობრების განსახილველი თემები მრავალფეროვანია: ერის ბედი, ცოდნის ფილოსოფია, ისტორიის ნიშანთვისება, ლიტერატურის როლი და დანიშნულება, სიყვარულის ზღვარი და, რა თქმა უნდა, ჯერაც უსახელო და აღმოუჩენელი სოციალური სისტემა, რომელიც ადამიანებს ჰარმონიულად და თანასწორად ცხოვრებას ჰპირდება. დიალოგის მოწაწილენი მტკივნეულად აღიქვამენ იმ საკითხსაც, რომ ენა დროის მოთხოვნილებებს საერთოდ არ პასუხობს.

თუმცა, ლონდონელები, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის დროინდელი დიდი რუსების ყოყმანსა და მსჯელობას ადევნებენ თვალყურს, 21-ე საუკუნის გადასახედიდან ასკვნიან, რომ "უტოპიაში" წამოჭრილი დებატების გადაწყვეტა შეუძლებელია. ამიტომაც გვაქვს საქმე უტოპიასთან. სცენაზე გაცოცხლებული ბაკუნინი, მარქსი, ტურგენევი, ბელინსკი და გერცენი კი კამათს და აზროვნებას განაგრძობენ – უტოპიურობის მცირედი ეჭვის მიუხედავად, ისინი ერთმანეთს იდეებით კვლავაც ასაზრდოებენ, კვლავაც ღლიან, აბეზრებენ, აბრაზებენ და აღაფრთოვანებენ ერთმანეთს.

"უტოპიის ნაპირს" ლონდონში, თურმე, თავაზიანი, თუმც შერეული კრიტიკა ხვდა წილად, მაგრამ საზოგადოება მაინც დაინტერესდა და 12 - საათიან წარმოდგენასაც გაუძლო. თუმცა, ნაციონალური თეატრის სამივე შენობაში, სადაც სტოპარდის წარმოდგენები ნოემბრამდე გასტანს, სპექტაკლს უკვე ცალ-ცალკე განყოფილებად ანახებენ – ამის საშუალებას "ვოიაჟის", "გემის დაღუპვისა" და "ხსნის" დასრულებული სიუჟეტი ნამდვილად იძლევა.

ამერიკელი რეცენზენტის აზრით, პიესის პოპულარობის მიზეზი დიდი ისტორიული ფიგურები და საერთოდ ისტორიული წარსულის გაცოცხლება არ არის. მაყურებელს, პირველ რიგში, აღაფრთოვანებს სტოპარდის ენის ემოციურობა და რეჟისორ, ტრევორ ნანის ნიჭიერება – ის ახერხებს პიესის მთელი გრძნობა და შინაარსი ცოცხალ, ენერგიულ სცენებში გადაიტანოს. რეჟისორის ჩანაფიქრს შესანიშნავად ასრულებს მსახიობთა ბრწყინვალე დასიც: გერცენის როლის შემსრულებელი, სტეფან დილანი "ტონის" ჯილდოსაც ფლობს ისევ სტოპარდის პიესაში, "ნამდვილი ამბავი" შესრულებული როლისთვის. ბრენტლის აზრით, გერცენის მეუღლის როლს ბრწყინვალედ ასრულებს ევა ბესტი. ამ ქალის შემხედვარე, თურმე, დარბაზში მჯდომი ყველა მანდილოსანი უმალ ხვდება, თუ რას ნიშნავს - იყო ქალი ამ დიდ რუს მამაკაცებს შორის. უილ კინი კი ნამდვილი ბელინსკია – ის ოსტატურად ახერხებს, განასახიეროს კრიტიკოსის როლი, რომელსაც ენა ებმება და ემოციურად, გაუთავებლად ლაპარაკობს.

გარდა ამისა, მაყურებელს დარბაზში ბრწყინვალე ვიზუალური ეფექტებიც "აძლებინებს" – განათების, კოსტუმების, ვიდეომასალის წყალობით, რეჟისორს ეფექტურად გადააქვს მოქმედება მოსკოვის და პეტერბურგის საცეკვაო დარბაზებიდან პარიზის ქუჩებსა თუ ინგლისურ სახლებში.

საინტერესოა, რომ ტრევორ ნანი და სტოპარდი სამყაროს უწყვეტ მოძრაობას სცენის შუაგულში განთავსებული, უზარმაზარი მბრუნავი მაგიდით გადმოსცემენ. მაყურებელში სცენის აღქმას სწორედ ამ მაგიდის ბრუნვა ცვლის. მის უკან კი დამონტაჟებულია ეკრანი, რომელზეც (სცენის და მოქმედების ადგილის მიხედვით) ერთმანეთს ენაცვლება ლამაზი პეიზაჟები და არქიტექტურა. სწორედ ამ დეტალების გამო, კრიტიკოსებმა დაასკვნეს, რომ "უტოპიის ნაპირი" სტოპარდის პირველი ნაწარმოებია, რომელიც გაცილებით უფრო მიმზიდველად გამოიყურება სცენაზე, ვიდრე ფურცლებზე.

თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ეს ვიზუალური ეფექტები, მსახიობთა შესანიშნავი თამაში და ლამაზი, ზუსტად მისადაგებული სცენები მხოლოდ "დამხმარე მასალაა". წამყვან როლს სტოპარდის მიერ შექმნილი დაუვიწყარი და ღრმა დიალოგები ასრულებს. სწორედ ამ ფრაზების გამო რჩება საზოგადოებას ისეთი შთაბეჭდილება, რომ თავადაც დაუსრულებელ მოგზაურობაში ჩაება, რომელსაც "უტოპია" ჰქვია. ეს განცდა მაყურებელს თეატრში გატარებული 12 საათის შემდეგაც დიდ ხანს მიჰყვება...

კურიოზი

თურქეთის გემებს შებოჭილი კუპრაშვილის ეშინიათ

უკანასკნელ წლებში საკმაოდ გაიზარდა გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრის მსურველთა რიცხვი. ამ მხრივ, გამონაკლისი არც საქართველოა. 9 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჯუმბერ ლეჟავამ მსოფლიოს გარშემო ველოსიპედით დაიწყო მოგზაურობა. უკანასკნელ პრესკონფერენციაზე მან საზოგადოებას წარუდგინა მოგზაურობის ამსახველი უნიკალური რუკები, დღიურები, ფოტონამუშევრები და სხვადასხვა ქვეყნის გაზეთებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები. მეცნიერები დღესაც მსჯელობენ ჯუმბერ ლეჟავას ფენომენის შესახებ. საინტერესო პროექტი აქვს ჩაფიქრებული პროფესიით ინჟინერ-ელექტრიკოსს ნუგზარ კიკნაძეს, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მცირე ზომის, თვითნაგები, კრეისერული ტიპის იახტით მარტო აპირებს დედამიწის შემოვლას. ცნობილია მარშრუტიც, რომელიც საქართველოს, საბერძნეთს, რომს, მაიას ტომების ტერიტორიებს, ინკების ადგილსამყოფელს, ინდო-ჩინეთისა და ისრაელის, კვიპროსის სანაპიროებს მოიცავს. იახტის სიგრძე მხოლოდ 3,1 მეტრია, სიმაღლე კი - 1,8 მეტრი, მშენებლობა უახლოეს ხანში დასრულდება. კიკნაძის მთავარი პრობლემა ფინანსური მხარის მოგვარებაა. თავად მოგზაური ღრმად არის დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში. აღსანიშნავია, რომ კიკნაძემ 7 წლის წინათ ფოთის პორტიდან კანარის კუნძულებამდე მიაღწია. ქართველი ისტორიკოსი, ცურვის ძველი ქართული სახეობის, კოლხურის მიმდევარი ჰენრი კუპრაშვილი კი ხელ-ფეხშეკრული დარდანელის სრუტის გადაცურვას აპირებს. ახლა იგი თურქეთშია, სადაც მოულოდნელ პრობლემას წააწყდა. საქმე ისაა, რომ თურქეთის მთავრობა კუპრაშვილს საოცრად ექსტრემალურ პირობებში აყენებს. გაცურვა 30 აგვისტოს, დღის პირველ ნახევარში იყო დაგეგმილი. კუპრაშვილს 5-კილომეტრიანი დისტანცია დროში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე უნდა გაეცურა, რისთვისაც მზად იყო. ადგილობრივმა ხელისუფლებამ, იმ მოტივით, რომ საქართველოს საკონსულომ გაცურვის შესახებ დროულად არ შეატყობინა, ტრასის სიგრძე ორი კილომეტრით გაზარდა და ითხოვს პირველი 5 კილომეტრის ორ საათში გაცურვას. მათი განცხადებით, ხელ-ფეხშეკრული ქართველი საფრთხეს უქმნის თურქეთის სანაოსნოს გემებს. მიუხედავად ასეთი პრობლემისა, გინესის წიგნის ქართველი რეკორდსმენი აცხადებს, რომ ის სრუტეს მაინც გადაცურავს. ექსპედიციას ძალიან ეხმარება საქართველოს სამხედრო ატაშე ანკარაში თემურ კერესელიძე, რომელმაც საელჩოსთან ერთად ბევრი საორგანიზაციო პრობლემა გადაჭრა. გაცურვის დღეებში დაგეგმილია დოკუმენტური ფილმის გადაღება, ფოტოგამოფენის მოწყობა და წიგნის გამოცემა, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ცურვის კოლხური სტილი.

ქადრაკი

საუკუნის მატჩი

საუკუნის მატჩი შეარქვეს რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოს პაექრობას ჭადრაკში, რომელიც 8-11 სექტემბერს კრემლის სახელმწიფო დარბაზში გაიმართება. ტურნირში, (მართალია, სათადარიგო მოთამაშედ) ქართველი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილიც მიიღებს მონაწილეობას. იგი მსოფლიო ნაკრების ღირსებას დაიცავს. მეტოქეები ერთმანეთის პირისპირ უძლიერესი შემადგენლობით წარსდგებიან. თუმცა, მსოფლიო ნაკრები ორ მეტად ძლიერ მოჭადრაკეს მოისაკლისებს – მაიკლ ადამსს (ინგლისი) და ვესელინ ტოპალოვს (ბულგარეთი).

ინგლისელი დიდოსტატი, მაიკლ ადამსი პირადი მიზეზების გამო ვერ ითამაშებს, რაც მატჩის ორგანიზატორებისთვის თავიდანვე იყო ცნობილი. ბულგარელი ვესელინ ტოპალოვის გადაწყვეტილება კი, რომელმაც ტურნირის ორგანიზატორებთან საერთო ენა ვერ გამონახა, ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

რუსეთის ნაკრებში იასპარეზებენ მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები - გარი კასპაროვი, ანატოლი კარპოვი, აგრეთვე - ვლადიმირ კრამნიკი, ალექსანდრ ჰალიფმანი, ევგენი ბარეევი, ალექსანდრ გრიშჩუკი, ალექსეი დრეევი, ალექსანდრ მოროზევიჩი, პიოტრ სვიდლერი და ალექსანდრ მოტილევი; სათადარიგოები – ვადიმ ზვიაგინცევი და სერგეი რუბლიოვსკი.

გუნდის კაპიტანი იქნება რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, ანდრეი სელივანოვი, ხოლო მწვრთნელი – დიდოსტატი ნაუმ რაშკოვსკი.

მსოფლიოს ნაკრების შემადგენლობაში იქნებიან – ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), რუსლან პონომარიოვი, ვასილი ივანჩუკი (ორივე უკრაინა), პეტერ ლეკო (უნგრეთი), ალექსეი შიროვი (ესპანეთი), ბორის გელფანდი (ისრაელი), ნაიჯელ შორტი (ინგლისი), იუდით პოლგარი (უნგრეთი), ილია სმირინი (ისრაელი), ტიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი); სათადარიგოები – ვლადიმირ აკოფიანი (სომხეთი) და ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო).

უძლიერესი დიდოსტატები ურთიერთობას შევენინგენის სისტემით (ერთი გუნდის ყველა წევრი მეტოქე გუნდის ყველა მოთამაშეს შეხვდება), სწრაფ პარტიებში გაარკვევენ. თითოეული პარტიის ხანგრძლივობა 25 წუთი იქნება. სვლაზე 10-წამიანი დამატებით.

Formula 1

კულტჰარდი მონტოიას აკრიტიკებს

ფორმულა 1-ის კოლუმბიელი პილოტი, ხუან პაბლო მონტოია რბოლების დროს სისწრაფესა და რისკს არ ერიდება. ამ თვისებების გამო, მან გულშემატკივართა სიმპათია დაიმსახურა, მაგრამ კოლეგები "უილიამსის" პილოტის ასეთ მანერას სხვაგვარად აფასებენ.

ამჯერად მონტოიას შესახებ თავისი მოსაზრება "მაკლარენის" შოტლანდიელმა პილოტმა, დევიდ კულტჰარდმა გამოთქვა. იგი თანაგუნდელ კიმი რაიკონენს გამოესარჩლა უნგრეთის გრან-პრიზე დატრიალებული ამბების გამო. ფინელი ერთ-ერთ ეპიზოდში მონტოიას გასწრებას ცდილობდა, როცა კოლუმბიელმა ძალიან გარისკა და რაიკონენს გზა გადაუღობა. მაშინ ეპიზოდი მშვიდობიანად დასრულდა.

თუმცა, ამგვარი ფრაგმენტები ფორმულა 1-ში გამონაკლისი უფროა, ვიდრე წესი. მაგალითად, ნიურბურგრინგის ტრასაზე თვითონ კულტჰარდი ემსხვერპლა ხუან პაბლო მონტოიას რისკიან ახირებას და რბოლა შეწყვიტა. შოტლანდიელისთვის ეს უკვე მეტისმეტი იყო.

"მონტოია მართლაც ძალიან კარგი პილოტია, – განაცხადა კულტჰარდმა უნგრეთის გრან-პრის შემდეგ, – მაღალი კლასი მან მთელი სეზონის განმავლობაში დაადასტურა. თუმცა, როცა საქმე ტრასაზე დაპირისპირებამდე მიდის, ყველაფერი უსიამოვნოდ მთავრდება. გავიხსენოთ, თუნდაც, ნიურბურგრინგის შეჯახება, როცა მონტოიას გამო ქულები დავკარგე. ახლა ხუან პაბლოს გასწრებას კიმი რაიკონენი შეეცადა, მაგრამ მონტოიამ, უბრალოდ, მისი ტრასიდან გადაგდება განიზრახა. ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ მონტოიას არ სჯერა, თუ ვინმეს მასზე უკეთ რბოლა შეუძლია. როგორც ჩანს, მონტოიას წაგებას ტრასიდან გადავარდნა ურჩევნია".

სხვადასხვა

აფრიკა „რკინის მაიკს„ ელის

კრივის სამხრეთაფრიკელი მოყვარულები მაიკ ტაისონის მხურვალე ქომაგები ყოფილან და ერთი სული აქვთ, "რკინის მაიკი" თავიანთ სამშობლოში იხილონ. როგორც ირკვევა, ტაისონის ქომაგთა ოცნება რეალურია და შეიძლება, უახლოეს მომავალში ასრულდეს. ადგილობრივმა პრომოუტერმა როდნი ბერმანმა განაცხადა, რომ ამ საკითხის ირგვლივ მოლაპარაკებები უკვე დაიწყო.

"ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ მაიკ ტაისონი სამხრეთ აფრიკაში ჩამოვიდეს. იმედი მაქვს, მის ფინანსურ მოთხოვნებს დავაკმაყოფილებთ, – აცხადებს ბერმანი, – მე ვესაუბრე ტაისონის მენეჯერ შელი ფინკელს, რომელსაც ეს იდეა მოეწონა".

ცნობილია, რომ ივნისში ინგლისელ ლენოქს ლუისთან დამარცხების შემდეგ ტაისონის რეპუტაცია ამერიკაში შეილახა, თუმცა, ბერმანის აზრით, სამხრეთ აფრიკაში მას აუდიტორია გარანტირებული ექნება, რადგან აფრიკელი გულშემატკივარი ასეთი დონის ვარსკვლავთა ვიზიტებით განებივრებული არ არის.

ბედნიერი წყვილი

როგორც ჩანს, ცნობილი ესპანელი მომღერლის ენრიკე იგლესიასისა და რუსი ჩოგბურთელის ანა კურნიკოვას ურთიერთობას საუკეთესო დღეები უდგას. როგორც ელიტარული ქრონიკის ბრიტანული სააგენტოსთვის (wenn) გახდა ცნობილი, ესპანელმა პოპ-ვარსკვლავმა 7,5 მილიონი დოლარი გაიღო ჰოლივუდის შემოგარენში ახალი საცხოვრებელი ბინის საყიდლად, სადაც ანა კურნიკოვას ეპატიჟება.

მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მშენებლებს კი ინსტრუქტაჟს თავად იგლესიასი-უმცროსი უტარებს. როგორც მომღერლის ერთ-ერთი მეგობარი ამბობს, გიგანტურ სახლში ყველა პირობა იქნება წყვილის ბედნიერებისთვის: ხუთი საძინებელი, აუზი, სპორტული დარბაზი, მინი-კინოთეატრი და ხმის ჩამწერი სტუდიაც კი. "ენრიკე ჩოგბურთის კორტების მოწყობასაც აპირებს, მაგრამ ჯერჯერობით კორტებისთვის სათანადო ადგილი ვერ მოძებნა", – თქვა მომღერლის მეგობარმა.

ფეხბურთი

ესპანეთის სუპერთასს "დეპორტივო" დაეუფლა, იტალიისას - "იუვენტუსი"

დეპორტივო

იუვენტუსი

25 აგვისტოს, ერთდროულად ორი ქვეყნის - ესპანეთისა და იტალიის სუპერთასების გათამაშება გაიმართა.

ესპანეთის თასის მფლობელი, ლა კორუნიას "დეპორტივო" ახლა ქვეყნის სუპერთასსაც დაეუფლა. "ვალენსიას" წინააღმდეგ საშინაო მატჩში გამარჯვების (3:0) შემდეგ, "დეპორტივომ" მეტოქეს სტუმრადაც სძლია და "ვალენსია" საკუთარ მოედანზე 0:1 დაამარცხა. მსაჯის დამატებულ დროში, მატჩის ერთადერთი გოლი, ლა კორუნიელთა ნახევარმცველმა, ვიქტორ სანჩესმა გაიტანა.

შეხვედრის დებიუტშივე ვალენსიელთა შანსები ძალიან შემცირდა: "დეპორტივოელი" როი მაკკაის წინააღმდეგ უხეში თამაშის გამო, მატჩის 3-ე წუთზე, მოედნიდან გააძევეს "ვალენსიას" არგენტინელი მცველი, რობერტო აიალა, რის გამოც მასპინძლებს, მთელი 87 წუთის მანძილზე, რიცხობრივ უმცირესობაში მოუწიათ თამაში.

"დეპორტივოს" ისტორიაში ეს უკვე მესამე სუპერთასია.

იტალიის სუპერთასის მფლობელი კი ტურინის "იუვენტუსია". ქვეყნის ჩემპიონმა, ანგარიშით, 2:1 მოუგო თასის მფლობელ "პარმას". "ბებერი ქალბატონის" ორივე გოლი კაპიტნის, ალესანდრო დელ პიეროს ანგარიშზეა. მარსელო სალასის პასის შემდეგ, დელ პიერომ, მატჩის 34-ე წუთზე გახსნა ანგარიში. 64-ე წუთზე "პარმელმა" მარკო დი ვაიომ წონასწორობა აღადგინა, თუმცა, ცხრა წუთის შემდეგ, დელ პიერომ ბურთი კვლავ გაიტანა და მატჩის საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

აღსანიშნავია, რომ იტალიის სუპერთასის გათამაშება ლიბიის დედაქალაქში, ტრიპოლში გაიმართა. საქმე ისაა, რომ კომპანია "Lybian Arab Foreign Investment Company"-ს (LAFICO) სათავო ოფისი ლიბიაშია, ეს კომპანია კი "იუვენტუსის" აქციების დიდი ნაწილის მფლობელია.

"მე კმაყოფილი ვარ"

განაცხადა "ვოლფსბურგის" მწვრთნელმა, ვოლფგანგ ვოლფმა

შტეფან ეფენბერგი

24 აგვისტოს, შტეფან ეფენბერგმა, თავისი ახალი კლუბის, "ვოლფსბურგის" შემადგენლობაში პირველი მატჩი ჩაატარა. "ვოლფსბურგი" ბილეფელდის "არმინიას" ესტუმრა და დამარცხდა ანგარიშით, 0:1.

მატჩის შემდეგ, გერმანიის საფეხბურთო საზოგადოება ერთადერთ კითხვას სვამს: "შეუძლია ეფენბერგს დიდი გამარჯვებები მოუტანოს "ვოლფსბურგს"?" აქვეა პასუხიც: "არა, ჯერ არა." სხვაგვარი შედეგი გასაკვირიც კი იქნებოდა – 133-დღიანი შესვენების შემდეგ, ეფენბერგსაც კი სჭირდება დრო, რათა სპორტული ფორმა დაიბრუნოს. ბუნდესლიგაში თავისი უკანასკნელი მატჩი, ოთხ თვის წინათ, 13 აპრილს ჩაატარა "ბაიერნის" შემადგენლობაში (2:1 "ნიურნბერგის" წინააღმდეგ).

"მან მატჩის 90-ვე წუთი ითამაშა. ეს იმას ნიშნავს, რომ მე კმაყოფილი ვარ. პირველი მატჩისთვის ეს შესანიშნავი შედეგია", - განაცხადა "ვოლფსბურგის" მწვრთნელმა, ვოლფგანგ ვოლფმა.

"შედეგი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ შტეფანს სამუშაო ბევრი აქვს", - თქვა კლუბის მენეჯერმა პეტერ პანდერმა.

თავად ეფენბერგი თავისი დებიუტით კმაყოფილია. "ჩემი მოვალეობა შევასრულე, ცუდია, რომ გოლის გატანა ვერ შევძელით, - განაცხადა ეფენბერგმა, - ბევრი ფიქრობდა, რომ ვოლფბურგში ცხოვრებაც კი გამიჭირდებოდა. მაგრამ ეს არ არის პრობლემა. მიუნხენისნაირ ქალაქში გატარებული წლების შემდეგ, ვოლფსბურგის სიწყნარე მსიამოვნებს".

თავის სპორტულ ფორმაზე ეფენბერგი არ ნერვიულობს: "მომეცით ერთი-ორი კვირა! ფორმის დასაბრუნებლად ცოტა დრო მჭირდება, როდესაც ეს მოხდება, "ვოლფსბურგის" წარმატებაც მოვა".

"მერცხალს" ელიტაში დაბრუნება სურს

თამაზ ხარაიშვილი

ოზურგეთი

ოზურგეთის "მერცხალმა" გასულ საფეხბურთო სეზონში წარმატებით იასპარეზა დასავლეთ რეგიონალიგის გუნდებს შორის და მეორე ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. გუნდმა წარმატებით დაძლია პირველი ბარიერი იმ გზაზე, რომელიც უმაღლესი ლიგისკენ მიემართება. ასეთი მიზანი კი გუნდს დაუსახეს ბანკირმა ვანო ჩხარტიშვილმა და შს მინისტრის პირველმა მოადგილემ ზურაბ ჩხაიძემ. მათთან ერთად გუნდზე, კონკრეტულად მის ჩაცმულობაზე, ბადრი პატარკაციშვილი იზრუნებს. გარკვეული ვალდებულებები იკისრა ოზურგეთის გამგეობამაც.

"მერცხალი" ახალ სეზონს ახალ ლიგაში განახლებული შემადგენლობითა და ხელმძღვანელობით ხვდება. გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი დაიკავა სერგო გაბელაიამ, რომელსაც 1990 წლიდან დღემდე უმუშავია თბილისის "მგლებსა" და "მერანში", ფოთის "კოლხეთში", თბილისის "ვიტ-ჯორჯიაში" გუნდში იტალიელი ჯანი კარნევალეს მოულოდნელი წასვლისა და კიდევ უფრო მოულოდნელი უკან დაბრუნების შუალედში. "მერცხლიდან" დაითხოვეს მთავარი მწვრთნელი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი მერაბ მეგრელაძე, რომლის ხელმძღვანელობითაც გუნდმა მეორე ლიგის საგზური მოიპოვა. ამას იმით ხსნიან, რომ უმაღლესი ლიგისკენ მიმავალ გუნდს უფრო გამოცდილი ხელი სჭირდება.

მნიშვნელოვანი ცვლილებებია გუნდის შემადგენლობაში. მართალია, ძირითადი ბირთვი შენარჩუნებულია, მაგრამ სერიოზული მატებაც არის - "მერცხალთან" ერთად ახალი სეზონისთვის ემზადებიან ებრალიძე (რუსთავის "გორდა"), სიამაშვილი (თბილისის "ლოკომოტივი-2"), გოგოლაძე, აფციაური (თბილის "დინამო"), ჭყონია (ვანის "სულორი"), გოგუა (ქობულეთის "შუქურა"), ასევე, როსტიაშვილი და თელიაშვილი, რომლებიც რუსეთის კლუბებში გამოდიოდნენ.

31 აგვისტოს, სეზონის პირველ მატჩში, "მერცხალი" სტუმრად შეხვდება წყალტუბოს "სამგურალს". სპეციალისტთა აზრით, სწორედ ეს ორი გუნდი იბრძოლებს უმაღლესი ლიგის საგზურისთვის.

წყალბურთი

ჩომახიძის მარჯვენამ რუსეთი იხსნა

გიგა გურასაშვილი

ბელგრადში, წყალბურთელთა მსოფლიო თასის გათამაშებაში უნგრეთი რუსეთს მეორეჯერ დაუპირისპირდა, ამჯერად გამარჯვებული მსოფლიო თასს მოიპოვებდა. მადიარებმა მსოფლიო თასი სამჯერ – 1979, 1995 და წინა გათამაშებაში 1999 წელს მოიგეს. რუსეთი არასდროს გამხდარა ჩემპიონი, თუ არ ჩავთვლით, 1981 და 1983 წლებს, როცა მსოფლიო თასი საბჭოთა ნაკრებმა მოიპოვა. მაშინ მის რიგებში ქართველებიც გამოდიოდნენ, დღეს კი რუსების ლიდერი რევაზ ჩომახიძეა, ქართველმა საკუთარი სიძლიერე ფინალშიც დაამტკიცა და როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ფინალში რუსთა წარმატება სწორედ ქართველის დამსახურებაა.

მთელი მატჩის განმავლობაში, უნგრელთა თამაშიდან გამომდინარე, ყველა მათ გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა. ჩრდილოელი მეზობლები ძირითადად მდევრის როლში მოგვევლინენ, მაგრამ წაგებას არ ეპუებოდნენ. მეორე ნახევარი ორი ბურთის დეფიციტით დაიწყეს. მალე ანგარიშიც გაათანაბრეს. მესამე მეოთხედის შუაწელში კი, პირველად დაწინაურებულებმა ისევ დაკარგეს უპირატესობა. ამ დროისთვის ანგარიში იყო - 8:8. ჯერი ბოლო მეოთხედზე მიდგა. მეტოქეებმა აქაც თითოთითო ბურთის გატანა შეძლეს. მატჩის დასრულებამდე წამები რჩებოდა. ყველა დამატებითი დროისთვის ემზადებოდა. შეტევისას, მადიარებმა ბურთი დაკარგეს. მას ჩომახიძე დაეპატრონა და ფინალურ სასტვენამდე, ხუთი წამით ადრე, მეორე და გადამწყვეტი ბურთი შეაგდო უნგრელთა კარში – 10:9. რუსებმა გაიმარჯვეს.

მატჩის შემდეგ რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრ კაბანოვმა აღიარა, რომ ასეთი საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლა დიდი ხანია, არ უნახავს. იქვე ისიც დაამატა, ჩემი გუნდი "უნგრული კომპლექსისგან" გათავისუფლდაო. საქმე ისაა, რომ ბელგრადის სათასო ასპარეზობებამდე უნგრელებმა რუსებს ხუთჯერ სძლიეს.

ჩომახიძის მარჯვენა

REUTERS

მსოფლიო თასის გათამაშების საუკეთესო მოთამაშედ, ისევე როგორც ბომბარდირად, უნგრელი ტამაშ კაშაში დაასახელეს. მან 13 ბურთი გაუტანა მეტოქეთა კარის დარაჯებს. შეჯიბრების საუკეთესო მეკარედ რუსი ნიკოლაი მაქსიმოვი დაასახელეს.

უნდა აღინიშნოს იუგოსლაველ გულშემატკივართა მხარდაჭერაც.

აღსანიშნავია, რომ 1997 წლიდან იუგოსლაველებს არც ერთი საერთაშორისო ტურნირი, პირველობა თუ ჩემპიონატი უმედლოდ არ დაუტოვებიათ. მესამე ადგილისთვის ასპარეზობისას მასპინძლებმა იტალიელებს მოუგეს – 6:4. აპენინელთა მარცხი, გარკვეულწილად, ალესანდრო კალჩატერას ტრავმამაც განაპირობა. ნახევარფინალში, რუსებთან ორთაბრძოლისას, დასახიჩრებულ სახეზე იტალიელს შვიდი ნაკერი დაადეს, რის გამოც მასპინძლებთან ვერ ითამაშა.

"იოლი არ იყო გამარჯვება, მაგრამ ჩვენ ამას ვიმსახურებდით. კალჩატერას გარეშეც დიდ წინააღმდეგობას წავაწყდით. თავიდან ისინი დაწინაურდნენ და ჩვენი გამარჯვება საფრთხის ქვეშ დააყენეს. გულშემატკივრებსა და შინაურ კედლებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ მატჩი ჩვენს სასარგებლოდ შემოვაბრუნეთ და ბრინჯაოს დავეუფლეთ,"- ტაშმაიდანის საცურაო აუზზე თავმოყრილ ოთხი ათასზე მეტ გულშემატკივარს ემადლიერება იუგოსლაველთა მწვრთნელი ნენად მანოილოვიჩი.

გამარჯვება სიცილით

კომიკოს დენიელ კიტსონს შეუძლია, ვარსკვლავის სტატუსი სიცილ-სიცილით მოიპოვოს. პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა – მას ედინბურგის ფესტივალზე ძალზე პრესტიჟული Perrier Comedy-ის ჯილდო გადაეცა. საუკეთესო კომიკოსის გვირგვინის მოპოვებას ექვსი მსახიობი ცდილობდა. როგორც ჟიურის თავმჯდომარე, ნიკა ბარნსი აღნიშნავს, საუკეთესოს გამოვლენა ძალიან რთული იყო, რადგან საზოგადოება ექვსივე კომიკოსმა გულიანად აცინა. თუმცა, ბოლოს უპირატესობა მაინც კიტსონს მიანიჭეს. ის 7500 გირვანქა სტერლინგითაც დაჯილდოვდა და, რაც მთავარია, ლონდონის უესტ-ენდში კომიკური როლიც მიიღო. ეს კიტსონისთვის ახალი, ვარსკვლავური ცხოვრების დასაწყისს ნიშნავს.

კოპოლა თუ ლი?

მსახიობ მეტ დეიმონს ჰოლივუდის საუკეთესო რეჟისორებთან უმუშავია, მათ შორის სტივენ სპილბერგსა და ფრენსის ფორდ კოპოლასთან ერთადაც. მაგრამ უპირატესობას მაინც ტაივანელ ან ლის ანიჭებს. "ანის მსგავს რეჟისორთან მუშაობა ჩემი ოცნებაა", - განაცხადა მან ტაიპეიში, სადაც თავისი ახალი ფილმის Bourne Identity-ს პრემიერას დაესწრო. თუმცა, ამ განცხადებით, ახალგაზრდა მსახიობს სპილბერგის და კოპოლას შეურაცხყოფა არც უფიქრია. პირიქით, მათთან მუშაობას და საერთოდ, თავისი კარიერის ბოლო ხუთ წელს ის რეჟისურაში სპეცკურსის გავლას ადარებს. ხოლო ლი მას იმ მცირერიცხოვანი რეჟისორების რიგში ეგულება, რომლებიც ნამდვილ კინოს ქმნიან. ტაივანელი რეჟისორი საერთაშორისო ყურადღების ცენტრში შარშან მოექცა, როცა მისმა ფილმმა "ოსკარი" მოიპოვა.

საფოსტო მარკებში უკვდავყოფილნი

ქალი - ჟურნალისტების დაფასება აშშ-ს საფოსტო სამსახურმაც გადაწყვიტა. 14 სექტემბრიდან ბრუნვაში შევა ახალი მარკები, რომლებზეც ოთხი ჟურნალისტი იქნება გამოსახული: მე-19 საუკუნის ბოლო წლებში მოღვაწე ნელი ბლაი – მისი ჟურნალისტური გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ, ნიუ-იორკის შეურაცხად ქალთა თავშესაფარში პაციენტებს სასტიკად ეპყრობოდნენ; იდა ტარბელი – სწორედ მისი საგაზეთო პუბლიკაციების შედეგად, 1902-04 წლებში აღიძრა საქმე Standard Oil Co.-ს წინააღმდეგ და საბოლოოდ ჯონ როკფელერის გიგანტი კომპანია დაიშალა კიდეც; მარგარეტ ჰიგინსი – პირველი ქალი ჟურნალისტი, რომელმაც პულიცერის პრიზი საერთაშორისო რეპორტიორობისთვის მიიღო (1951 წ.). ჰიგინსი ამტკიცებდა, რომ ქალებსაც ჰქონდათ უფლება, სამხედრო ჟურნალისტები გამხდარიყვნენ და ეთელ პეინი, 1950-60-იან წლებში გაზეთ "ჩიკაგო დიფენდერის" ჟურნალისტი, რომელიც აქტიურად აშუქებდა სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლას.

შესანიშნავი დუეტი

ესპანელი მსახიობი ანტონიო ბანდერასი თავის ფესვებს დაუბრუნდა. ჰოლივუდის ვარსკვლავმა მადრიდში განაცხადა, რომ კვლავ თავის "აღმომჩენთან", პედრო ალმოდოვართან აპირებს თანამშრომლობას - 2004 წელს ახალი ფილმის, "ტარანტულის" გადაღებები უნდა დაიწყოს. "14 წლის შემდეგ პედროსთან ერთად მუშაობა დიდი სიამოვნება იქნება." აქამდე ბანდერასმა ალმოდოვარის ხუთ ფილმში ითამაშა.

ნიკოლაი გუმილიოვის ხსოვნას

რუსეთი დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავს საყვარელი პოეტის ხსოვნის დღეს. სანკტ-პეტერბურგში, ანა ახმატოვას სახლში, პოეტ ნიკოლაი გუმილიოვის პოეზიის საღამო შედგა, რკინიგზის სადგურ ბერნგარდოვკაში კი მისი სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა. გარდა ამისა, კოვალიოვის ტყეში, იმ ადგილას, სადაც კონტრრევოლუციურ შეთქმულებაში ბრალდებული პოეტი დახვრიტეს, მისმა თაყვანისმცემლებმა გვირგვინები დააწყვეს.

სადირიჟორო პულტთან იური ბაშმეტი

რუსეთის სიმფონიურ ორკესტრს "მოლოდაია როსია", რომელიც 1990 წელს შეიქმნა, სახელგანთქმული ალტისტი, იური ბაშმეტი ჩაუდგა სათავეში. დღეს ის ორკესტრის კოლექტივის წინაშე წარდგება. იური ბაშმეტი, შესანიშნავი შემსრულებელი და კამერული ორკესტრის დირიჟორი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი და ლონდონის ხელოვნების აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, მოსკოვის საერთაშორისო ალტისტების კონკურსის დამაარსებელი და ჟიურის თავმჯდომარეცაა.

მაიკლ ჯექსონი: მესამედ მამა

მაიკლ ჯექსონს მესამე შვილი შესძენია. უკვე ექვსი თვის ბავშვი ლას ვეგასში გამართული შოუს დასრულების შემდეგ წარუდგინეს საზოგადოებას. პოპ-ვარსკვლავის პირველ შვილს, 5 წლის ვაჟს, პრინც მაიკლი ჰქვია, მეორეს, ქალიშვილს, პარიზი დაარქვეს. ნაბოლარას სახელიც ფრიად ორიგინალურად ჟღერს – პრინც მაიკლ მეორე.

კოვზი!

ნინო თამარაშვილი



კოვზების შემოქმედება

თანამედროვე ეკატერინბურგელი მხატვრის, ოლეგ ელოვოის თავში არაჩვეულებრივი იდეა დაიბადა: კონკურსი "კოვზი... მერე?!" უმარტივესი ამბავია – პროფესიონალ ოქრომჭედლებს დაურიგდათ ჩვეულებრივი ალუმინის კოვზები, რომლებიც, მოგეხსენებათ, ყოფილ საბჭოთა საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებში უხვად მოიპოვება. ოსტატებს სთხოვეს, ეს კოვზები ხელოვნების ნიმუშებად ექციათ. გამარჯვებული კოვზის შემქმნელი მიიღებდა 200$-ს, მეორე ადგილისათვის 100$ იყო დაწესებული.

კონკურსის მონაწილეებს შემდეგი პირობა წაუყენეს: ნახევარი თვის განმავლობაში შეგიძლია კოვზს ყველაფერი უქნა, რაც გაგიხარდება, შეზღუდვა არ არსებობს, ოღონდ სხვა ლითონების გამოყენება არ შეიძლება.

ალუმინის კოვზების დარიგება შედგა ეკატერინბურგის მხატვრის სახლში. ცერემონიაზე 14 ოქრომჭედელი გამოცხადდა. ზოგმა ორი-სამი კოვზი წაიღო, არა სიხარბის გამო, არამედ მეგობრებისათვის დასარიგებლად.

ალუმინი არცთუ ურიგო მასალაა – მსუბუქია, ადვილად იღუნება და იჭრება, მართალია, ძნელი დასადუღაბებელია, მაგრამ რას იზამ.

საბოლოოდ კონკურსში 21-მა ოსტატმა მიიღო მონაწილეობა, ხოლო 33-მა კოვზმა – ახალი სახე. ორი ნამუშევარი კონკურსგარეშე აღმოჩნდა: "ცოდვილ ქალად" ქცეული კოვზი მეტისმეტად ეროტიულია, შანდალ "ეშმაკუნას" ავტორმა კი ნამუშევრის წარდგენა დააგვიანა.

ფარული კენჭისყრის შემდეგ პირველი ადგილი მიენიჭა "თევზს", რომლის ავტორმაც, 29 წლის იუველირმა, კოვზს ახალი სიცოცხლე სულ სამ საათში შთაბერა და ძალიან გაიხარა 200 დოლარითა და გამარჯვებით.

კონკურსზე წარდგენილი ნამუშევრებიდან ყველაზე მასიური "ნიღბებია", შვიდი კოვზისგან შედგება. მისი ავტორი, მაშა, მოყვარული იუველირი გახლავთ. მოგებულ 100 დოლარად ის უთვალავი ალუმინის კოვზის შეძენას შეძლებს.

გადახედეთ თქვენს კოვზებს, ძვირფასებო, ან თუნდაც ჩანგლებს და დანებს. ვინ იცის, რამდენი შედევრი იმალება სამზარეულოს მაგიდის უჯრაში...

ქალები შავებში

რუდოლფ ვალენტინო 76 წლის წინ გარდაიცვალა, მაგრამ ძველი ჰოლივუდელებისთვის მაინც უცვლელ სექს-სიმბოლოდ დარჩა. სწორედ ამიტომ ქალები შავებში 23 აგვისტოს სასაფლაოს სტუმრობდნენ, რომელსაც Hollywood Forever ჰქვია. მათ დღესაც ცხადად ახსოვთ ის ისტერიკა, რაც ვალენტინოს გარდაცვალებამ გამოიწვია – მსახიობი 31 წლის იყო და თავისი კარიერის მწვერვალზე იმყოფებოდა. პირველად სასაფლაოზე მისვლის ტრადიცია წლების წინ, შავებში ჩაცმულმა, პირბადიანმა ქალბატონმა დაამკვიდრა, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა. შემდეგ კი ვალენტინოს საფლავისკენ ქალთა მთელი არმია დაირაზმა და უკვე ბევრი მსახიობი იჩემებდა, რომ ეს იდუმალებით მოცული ქალბატონი თვითონ იყო. ზოგი იმასაც აცხადებდა, რომ ვალენტინოსგან ბავშვი დარჩა. წელს, სასაფლაოზე მისულ ამ შავტანსაცმლიან ქალბატონებს შავკანიანი, ოღონდ თეთრ კაბაში გამოწყობილი მანდილოსანიც შეუერთდა. დაიან უაიტმორმა განაცხადა, რომ მას პატარძლის კაბა აცვია და იმედი აქვს, რომ ამით მგლოვიარე ქალბატონებში ახალ ტრადიციას დაამკვიდრებს. კინოისტორიკოსმა კერი ბაიბლმა კი აღნიშნა: "ბავშვობიდან ვუყურებდი მუნჯ ფილმებს და ვალენტინო თავიდანვე მიყვარდა".

ტრადიციადქცეულ ცერემონიას სასაფლაოს ახალი უფროსი ტაილერ კასიტი უძღვებოდა. საინტერესოა, რომ კასიტმა Hollywood Forever სამი წლის წინ აღადგინა, მას შემდეგ, რაც გაიაზრა, რომ იქ ადგილების შეძენას, ცნობილი ჰოლივუდელების გამო, ბევრი პრესტიჟულად ჩათვლიდა. მართლაც, ვალენტინოს გარდა, Hollywood Forever-ში ჩარლზ ჩაპლინ უმცროსი, უილიამ კლარკი, "ქარწაღებულნის" რეჟისორი ვიქტორ ფლემინგი, პირველი "ოსკაროსანი" ქალი ჯენეტ გეინორი, მსახიობი პიტერ ბრუნი, კლარკ გეიბლის მამა, ჰენრი გეიბლი და სხვები განისვენებენ. ამ ძველი ჰოლივუდელი ვარსკვლავების გათვალისწინებით, Hollywood Forever-ში ერთი ადგილი 1800-8000 დოლარის ფარგლებში იყიდება.

უფრთხიან "დიდ მჭამელს"

სამხრეთ ინდოეთის შტატ კერალაში რესტორნებზე გამაფრთხილებელი აბრაა გამოკრული: "შორს რაპაისგან". 60 წლის რაპაი ერთი მსუქანი ადგილობრივი მცხოვრებია, რომელსაც ჭამა უყვარს და ერთხელ, სწრაფი კვების რესტორნის ერთჯერადი შეთავაზებით – "მიირთვით, რამდენიც შეგიძლიათ" ბოროტად ისარგებლა... თუმცა, "ჭამა უყვარს" მართებული განმარტება მაინც არ არის. რაპაი ჭამას აღმერთებს – მისი დღე დილის შვიდ საათზე ორი ლიტრა ჩაის და რამდენიმე კილო ბრინჯის ნამცხვრით იწყება. ამის შემდეგ, ორ საათამდე კიდევ ორჯერ საუზმობს და ამ ორ საუზმეზე ოცი ნორმალური ადამიანის სამყოფ ულუფას მიირთმევს... მგონი, მიხვდით, ვისთან აქვთ ინდურ რესტორნებს საქმე. ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ როცა კონკურსზე "მიირთვით, რამდენიც შეგიძლიათ" რაპაიმ კერძის დამატება მოითხოვა, ჩხუბი ატყდა და საქმეში პოლიციაც კი ჩაერთო.

იაპონური კროსვორდი

																																6									
																		5	4	3				2	3		1				3	5								
										3		14		11	8	6	2	2	1	4	10	2	1	1	2	2		11		2	3								
						7	8	8	9	4	10	1	16	6	10	2	1	1	1	2	2	2	2	2	1	11	12	3		2	4	5	4	4	4	5			
						22	21	21	20	15	14	10	8	8	1	5	4	6	5	4	4	4	1	1	2	4	7	2		1	5	11	16	17	22	24			
				16	10																																				
				16	9																																				
				16	9																																				
		4	8	2	9																																				
	4	7	1	5	1																																				
		4	6	1	4																																				
	4	5	1	5	1																																				
	3	5	5	2	1																																				
1	1	4	4	2	2																																				
3	4	1	1	2	2																																				
	5	3	1	3	2																																				
5	2	2	2	2	2																																				
5	2	2	1	2	2																																				
	5	5	1	1	3																																				
	4	3	1	1	4																																				
		5	3	4	4																																				
		7	2	3	4																																				
		6	2	3	4																																				
		6	2	2	4																																				
		6	2	2	5																																				
			7	8	10																																				
			7	2	16																																				
				11	6																																				
			9	2	6																																				
			9	2	5																																				
		9	3	3	6																																				
			9	10	6																																				
		9	5	1	6																																				
		9	5	1	6																																				
		10	7	1	7																																				

TV პროგრამა 25 აგვისტო

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯუნგლების წიგნი
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 "კომუნიკატორი"
10.40 ცხოველთა ომები
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ცხოველთა ომები
18.45 სერიალი "ელენი და გიჭები"
19.15 მოგზაურობის ასი წელი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "ვიღაცამ გუგულის გუდეს გადაუფრინა"

პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.20 მოამგე
08.10 დოკ. ფილმი "ეს არის კინო"
08.35 სერიალი "საზღვაო პოლიცია"
09.25 მულტფილმი "შავი მეკობრე"
10.15 სერიალი "ძილის წინ"
10.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა"
11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი"
12.15 სერიალი "სენსაცია"
12.40, 18.50 ვიდეოპატრული
12.50 "ოქროს მართვე"
13.20 "ქიმერიონი"
14.00 "ლერერის შოუ"
15.15 მხ. ფილმი "დაბრუნებული ღიმილი"
16.40 დოკ. ფილმი "ქვეყანა, ქვეყნები"
17.35 "საკვირაო გამოფენა"
17.45 "ერთი თეთრიც ფულია"
18.00 ვესტნიკი
18.20 სერიალი "სენსაცია"
19.00 სიტყვა კაზმული
19.40 გასტი-ბუგუ
21.00 სერიალი "ფსიქფაქტორი"
21.45 "თგილისური ამგები"
22.10 მხ. ფილმი "სიყვარულის ფორმულა"
23.35 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.10 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე"
01.30 სერიალი "საზღვაო პოლიცია"

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამგე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "ნიუ-იორკის მეფე"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "ძმა, მზე და მთვარე"

ევრიკა

10.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მულტფილმი "სათამაშოების ისტორია 2"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25, 21.30 "სალონი"
18.30 "ბუდულაის დაბრუნება" 1-ლი სერია
19.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
23.00, 00.15 მხ.ფ. "სისხლიანი კვალი"

იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "ბრწყინვალება"
10.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.15 გურთი და მოედანი
10.25 სერიალი "მხიარული არდადეგები"
10.50 მხ.ფ. "დიდი გაცხრომა"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "უცხოები ამერიკაში"
22.30 ძველი კინო. "ირნი ქალაქში"
00.50 ღამის ფილმი

პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
09.00 "ტორროლა"
11.30 "მო" განმეორებით
13.00 მუსიკალური ათეული განმეორება
13.45 მხ. ფილმი
17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "მეტიჩარა"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 ჩაძირრგანა
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "თამაში გრმად".
01.40 მხ.ფ. "ამერიკელი ფსიქოპატი".
03.10 ნონ-სტოპი

კავკასია

12.00 მხ.ფ. "გაიცანითჯო გლექი"
15.00 მხ.ფ. "მულენ რუ:ი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 პრობრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "ბარი "საზიზღარი კოიოტი"
19.20 სპეტრი
21.00 მუსიკა
21.45 მხ.ფ. "შავი ძორის დესანტი"

მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამგები"
09.20 მულტფილმი "შეპრაზადი", 35-ე სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო",
10.15, 12.50, 14.45, 18.45, 21.10, 21.45, 23.55,
00.20 მუსიკა
10.30 მხ. ფილმი "ბოშათა ჟამი"
13.05, 16.55, 19.00 დისკავერი
14.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
15.00 მხ. ფილმი "სიჩქარე-1"
17.45 მულტფილმი "შეპრაზადი" 36-ე სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო"
20.00 "ევროპის სტადიონებზე"
21.10 მულტფილმი "სასაცილო ფანი ბანი"
22.00 მხ.ფ. "მეწამული მოქცევა"
00.40 მხ.ფ. "ამელი".

აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 მხატვრული ფილმი "ლომა", 1 სერია
10.35 კომედია "ადამიანი-რეპტილია"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 მხატვრული ფილმი "მსუბუქი კავალერია"
14.00 "მარადიული სიყვარულის ისტორია"
16.15 მულტფილმი
17.25 მხატვრული ფილმი "ტურგულენტურობა"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.30 დოკუმენტური ფილმი
20.20 მხატვრული ფილმი "ლომა", 2 სერია
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05 "რა არ ხდება"
23.15 დოკუმენტური ფილმი
01.05 მხატვრული ფილმი "ომის დემონები"
03.30 მხატვრული ფილმი "კლასიკოსი"
05.10 დოკუმენტური ფილმი

VII არხი

09.00 ანონსი 09.05 ამინდის პროგნოზი
09.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.30 "აჩიკუდა"
09.55 მოკლედ... სპორტი
10.05 "სახლიდან გაუსვლელად" აუდიო-ვიდეო-ტელე
10.40 მელოდია
11.10 ანიმაცია
11.25 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
11.55 "ავტოტრეკინგი"
12.50 "ბრძოლა წესების გარეშე"
13.15 დისნეი და მისი მეგობრები
13.35 "სახლიდან გაუსვლელად" კომპიუტერული ტექნიკა
14.15 სპორტი
14.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
21.10 "ღამის კაპრიზი"
22.00 მოკლედ...ასტროლოგიური პროგნოზი
22.10 "ბრძოლა წესების გარეშე"
22.35 მოკლედ... სპორტი
22.40 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.45 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
23.05 "კინოკლუბი " - "ოსკარი"
00.45 პრესის მიმოხილვა
00.55 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
01.15 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
01.45 "ბიორიომი"
02.15 პრესის მიმოხილვა

ОРТ

07.00 Телеканал "Доброе утро".
10.00 Новости.
10.15 "Знатоки" возвращаются. в детективе "ЛЮБОЙ ЦЕНОЙ". Дело N 11.
12.20 "Объектив".
12.35 Дисней-клуб: "Любимчик".
13.00, 16.00 Новости
13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНТСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ".
14.15 "Народ против". Телеигра.
15.00 Многосерийный фильм "УБОЙНАЯ СИЛА: КИТАЙСКИЙ КВАРТАЛ".
16.15 "Кумиры". Элеонора Беляева.
16.50 Сериал "БЛЕСК И НИЩЕТА КУРТИЗАНОК".
17.55 Многосерийный фильм "САМОЗВАНЦЫ".
19.00 Вечерние новости.
19.20 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ".
20.15 "Шутка за шуткой".
20.55 Многосерийный фильм "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ - 2".
22.00, 01.00 Время.
22.35 Многосерийный фильм "УБОЙНАЯ СИЛА: СМЯГЧАЮЩИЕ ОБСТОЯТЕЛЬСТВА".
23.40 Комедийный сериал "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ".
00.35 Сериал "УБОЙНАЯ СЛУЖБА".
01.15 "Как быть Наполеоном". Часть 2-я.
01.55 Триллер "ЧЕЛОВЕК НИОТКУДА".
02.45 Премьера сериала "ПРИШЕЛЕЦ".

РТР

06.45 - 09.45 "Доброе утро, Россия".
09.45 Сериал "КАМЕНСКАЯ-2". Фильм 1-й. "УКРАДЕННЫЙ СОН". 1-я серия.
10.50 "Два рояля".
11.50 Вести. Дежурная часть.
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 ВЕСТИ.
12.20 Сериал "ЗАКОН".
13.25 ПРЕМЬЕРА.Ток-шоу "Цена успеха".
14.30 "Колоссальное хозяйство".
14.45 ВЕСТИ.-МОСКВА.
15.20 ВЕСТИ.-СПОРТ.
15.25 "Что хочет женщина". Ток-шоу
16.25 Телесериал "ДИКИЙ АНГЕЛ ВОЗВРАЩЕНИЕ".
17.20 Телесериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ".
18.20 "Традиционный сбор. Студенческий театр МГУ".
19.20 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ.-МОСКВА.
19.50 Сериал "ВОРОВКА".
20.50 Спокойной ночи, малыши.
21.35 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ.-МОСКВА.
21.55 Детективный сериал "КАМЕНСКАЯ-2". Фильм 1-й. " УКРАДЕННЫЙ СОН". 2-я серия.
23.05 Сериал "ЗАКОН".
00.35 Николай Еременко-мл. и Армен Джигарханян в фильме "СНАЙПЕР". (Россия, 1992).

TV პროგრამები მოგვაწოდა საგანმანათლებლო "ინფორმაციამ"

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.